პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 20 (5420) | ხუთშაბათი, 26 იანვარი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ავამაღლოთ წარმოების პატარა და საშუალო მეთაურთა ავტორიტეტი („პრავდის“ მოწინავე)

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ (1-ლი გვ.)

არჩევნები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში (1-ლი გვ.)

მ. მიტინი. კონსულტაცია. ლენინისა და სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ (მე-2 და მე-3 გვ.)

გამოფენის კანდიდატები ქობულეთის რაიონიდან (მე-3 გვერდი).

უცხოეთში:

უნგრეთი არის ბრძოლის ობიექტი გერმანიასა და იტალიას შორის (მე-4 გვ.).

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კონფერენცია (მე-4 გვ.)

მდგომარეობა ბარსელონაში (მე-4 გვ.)

მოძრაობა ინგლისის პოლიტიკის გადასინჯვისათვის ესპანეთის საკითხში (მე-4 გვ.).

ავამაღლოთ წარმოების პატარა და საშუალო მეთაურთა ავტორიტეტი

შრომის დისციპლინის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილების შემდეგ განვლილი თვითეული დღე თვალსაჩინოდ მოწმობს იმას, თუ რა სერიოზული საშუალება მიიღეს თავის ხელში ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ყველგან აღინიშნება გაცდენებისა და დაგვიანებათა რიცხვის შემცირება. ეჭვს გარეშეა, რომ, როდესაც მთავრობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას ყველგან ზუსტად შეასრულებენ, როდესაც სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები არსად არ დაუშვებენ ცუღლუტების მფარველობას, დისციპლინა განუზომელად ამაღლდება, და ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში დამყარდება მტკიცე და ურყევი ბოლშევიკური წესრიგი.

შრომის რკინისებური დისციპლინისათვის ბრძოლა თვითეული სამეურნეო ხელმძღვანელის, წარმოების მეთაურის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს. საქმე ეხება არა მარტო საწარმოთა, დაწესებულებათა, საამქროებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს, რომლებიც კანონის წინაშე პასუხს აგებენ გაცდენებისა და ცუღლუტების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის. საქმე ეხება აგრეთვე წარმოების პატარა მეთაურებს, ჩვენს **ოსტატებს.** ოსტატი არის საწარმოო პროცესების ორგანიზატორი, იგი ანაწილებს დავალებებს მუშებს შორის, იგი უწევს მათ ტექნიკურ ინსტრუქციას, იგი ზრდის მათში შრომისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას. თუ მუშა აცდენს სამუშაოს, იგვიანებს, მუშაობის დროს არაფერს აკეთებს, ამას ყველაზე წინ ხედავს და გრძნობს ოსტატი. ამიტომ, როგორც სწერდა „პრავდაში“ ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისართა ქარხნის ოსტატი ამხ. ვ. კუზნეცოვი, „თუ ჩვენ გვინდა დავამყაროთ წარმოებაში რკინისებური დისციპლინა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ოსტატი, არამედ, პირიქით, ავამაღლოთ მისი როლი, ავამაღლოთ მისი მნიშვნელობა, ავამაღლოთ მისი ავტორიტეტი მუშის თვალში“.

პარტია დიდად აფასებს წარმოების მეთაურებს, მეურნეობის ბოლშევიკურ ხელმძღვანელებს. მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა და სტახანოველთა მიღებაზე კრემლში 1937 წლის 29 ოქტომბერს ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა იმაზე, რომ სამეურნეო მუშაკის სახელწოდება ჩვენს პირობებში წარმოადგენს მაღალ სახელწოდებას. ჩვენი სამეურნეო მუშაკები განაგებენ მეურნეობას არა ერთი მუჭა კაპიტალისტების მოგებისათვის, არამედ მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მთელი ხალხის ინტერესებისათვის, ამიტომ გახდნენ ისინი ღირსნი დიდი სახელისა, დიდი პატივისა და დიდი ნდობისა ხალხის მხრივ. ამ სიტყვაში ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით ლაპარაკობდა პატარა და საშუალო ხელმძღვანელებზე. „ისინი, ეს პატარა და საშუალო ხელმძღვანელები, ჩვენ ათიათასობით გვყავს. ისინი თავმდაბალი ადამიანები არიან, ისინი არ მიძვრებიან წინ, ისინი თითქმის შეუმჩნეველი არიან. მაგრამ სიბრმავე იქნებოდა ვერ შეგვემჩნია ისინი. ვინაიდან ამ ადამიანებზეა დამოკიდებული წარმოების ბედი მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მაშასადამე, მათზეა დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის ბედიც“.

მოწინავე ოსტატები — წარმოების პატარა ხელმძღვანელები—მშვენივრად აძლევენ თავიანთ თავს ანგარიშს იმაში, რომ ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დააკისრეს მათ საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობანი. მიტიშჩის ვაგონთმშენებელი ქარხნის ოსტატთა თათბირზე, რომელიც ამასწინათ შესდგა, მეტროს უბნის უფროსმა ოსტატმა ამხ. მ. აუშევმა კარგად სთქვა: — ოსტატი არის სახელმწიფოს ინტერესების დამცველი წარმოებაში, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი თავის უბანზე. ოსტატთა უმრავლესობა — ესენი არიან გუშინდელი დამკვრელები და სტახანოველები, რომლებმაც გვიჩვენეს სოციალისტური შრომის ნიმუშები და დაწინაურებული არიან წარმოების ხელმძღვანელებად. ეს ადამიანები აღვზნებული არიან სურვილით გაამრავლონ ჩვენი მეურნეობის წარმატებები. ამას ოსტატები აცხადებენ მრავალრიცხოვან წერილებში, რომლებიც ქვეყნდება „პრავდის“ ფურცლებზე. ამასთან ერთად თვით ოსტატებიც, აგრეთვე მუშები, ინჟინრები, საამქროთა უფროსები, საწარმოთა დირექტორები აყენებენ საკითხს, რომ **საჭიროა ოსტატის უფლებათა გაფართოება,** მათი ხელფასის ანაზღაურების სისტემის გადასინჯვა, ოსტატების, როგორც თავის უბნებზე ერთმართველების, მდგომარეობის განმტკიცება.

ოსტატები სერიოზულ პრეტენზიებს უყენებენ თავიანთ უფროს სამეურნეო ხელმძღვანელებს—ისინი ხშირად ნებსით თუ უნებლიეთ თვითონ უთხრიან ძირს წარმოების უმცროს მეთაურთა ავტორიტეტს. რიაზანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის ოსტატი ამხ. ლუკიანოვი მოგვითხრობს, რომ ერთხელ მან არ დაუშვა სამუშაოდ მუშა რებროვი, რომელმაც დაარღვია შრომის დისციპლინა. მაგრამ საამქროს უფროსმა ფედოტოვმა გააუქმა ოსტატის განკარგულება და სამუშაოზე აღადგინა დისციპლინის დამრღვევი. კიევის წითელდროშოვან ქარხანა „ტრანსსიგნალში“ ოსტატის მოთხოვნით სამუშაოდან მოხსნილ იქნა გამცდენი გეტმანსკი. გამცდენს მხარი დაუჭირა პროფკავშირის ქარხკომმა, და იგი აღდგენილ იქნა სამუშაოზე. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაციებიც დღემდე ანგარიშს არ უწევდნენ ოსტატების აზრს. წარმოების ინტერესები მოითხოვს, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებიც და პროფკავშირული ორგანიზაციებიც ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ოსტატს მის ბრძოლაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

„პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილებში ოსტატები აღნიშნავენ ჩვენს საწარმოებში წარმოების ორგანიზაციაში არსებულ მრავალ არანორმალობას. მოსკოვის კიროვის სახელობის საათების ქარხანაში, სვერდლოვსკის ქარხანა „მეტალისტში“, სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში (დონბასი) და ბევრ სხვა საწარმოში ოსტატი გადაქცეულია „ბიძგის მიმცემად“, მას მუდამ უხდება მასალების, ხელსაწყოების, ნახაზების მოტანაზე მუშაობა. რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება შინასაქარხნო დაგეგმვის დიდი ნაკლოვანებებით და სადისპეტჩერო და მომარაგების აპარატის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. საამქროებში მასალებისა და ხელსაწყოების არა თავის დროზე მიტანის გამო არა მარტო იფლანგება ოსტატის დრო, არამედ იფლანგება მუშების ათასობით და ათიათასობით საათი. მრავალრიცხოვანი გაცდენები ხელს უშლიან სამუშაო დღის შემჭიდროვებას და სამუშაო დროის თვითეული წუთის ნაყოფიერად გამოყენებას. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება გვავალებს, რომ მუშაობა, თანახმად კანონისა, სწარმოებდეს სრულ რვა, შვიდ და ექვს საათს. **ჰკითხავს რა რჩევას ოსტატებს, მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, თვითეულმა დირექტორმა, საამქროს თვითეულმა უფროსმა უნდა მოიფიქროს და განახორციელოს სამუშაო დღის შემჭიდროვების კონკრეტული ღონისძიებანი, ვინაიდან ეს პირველი პირობაა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.**

შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის ინტერესებისათვის მანქანათმშენებელი და თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებში სწარმოებს ნორმებისა და შეფასებათა გადასინჯვა. სამანქანათმშენებლო მრეწველობაში ორი წელია ნორმები არ გადასინჯულა, ნორმები დაბალი გახდა, ვინაიდან ამ წლების განმავლობაში სწარმოებდა წარმოების მექანიზაცია, ტექნოლოგიაში ხდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ინერგებოდა შრომის ახალი სტახანოვური მეთოდები. ნორმებისა და შეფასებათა გადასინჯვაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ოსტატებმა, რომლებმაც საუცხოოდ იციან წარმოება, საუცხოოდ იციან ჩვენი ტექნიკისა და ჩვენი ადამიანების, თვითეული დაზგისა და თვითეული მუშის შესაძლებლობანი. ბევრი ოსტატი აღნიშნავს იმას, რომ წინათ მათ მონაწილეობას არ აღებინებდნენ ნორმების დაწესებაში. ეს შეცდომა ახლა თავიდან უნდა ავიცილოთ.

ოსტატები არიან მეტად მნიშვნელოვანი რაზმი საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციისა, რომელიც მუშათა კლასის რიგებიდან გაიზარდა. ოსტატების წინაშე, ისე როგორც მთელი საბჭოთა ინტელიგენციის წინაშე, მთელი სიგრძე-სიგანით დგას მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლების ამოცანა. ჩვენს ოსტატებს—დიდი პრაქტიკის ადამიანებს—თეორია სჭირდებათ, როგორც ჰაერი! პარტიული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ ოსტატებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლაში, მიაჩვიონ ისინი წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას. ჩვენი ძირეული სამეურნეო კადრების პოლიტიკური გამოწრთობა და იდეური ზრდა გააფართოვებს მათ გონებრივ ჰორიზონტს, შეაიარაღებს მათ ბოლშევიკური სიფხიზლით, შესძენს მათ უნარს დაინახონ მტრების მანევრები, გამოააშკარაონ ტროცკისტ - ბუხარინელ და სხვა ჯაშუშთა მავნებლური ოინები. პარტიულმა ორგანიზაციებმა თვითეულ ოსტატში უნდა აღზარდონ გრძნობა ბოლშევიკური პასუხისმგებლობისა მისთვის დავალებული საქმისათვის, სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის 6 სახალხო კომისარიატად დაყოფის შესახებ, რომელიც დღეს იბეჭდება, ისევე როგორც ამასწინათ გამოქვეყნებული ბრძანებულებანი მსუბუქი, თავდაცვითი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების დაყოფის შესახებ, მიმართულია საწარმოებისადმი კონკრეტული ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერებისაკენ. ახალი სახალხო კომისარიატები უფრო დაუახლოვდებიან წარმოებას და, მაშასადამე, წარმოების პატარა და საშუალო მეთაურებს, იმათ, ვინც სწყვეტს წარმოების ბედს. ეჭვს გარეშეა, რომ ისინი გააკეთებენ ყველაფერს, რათა აამაღლონ პატარა და საშუალო სამეურნეო ხელმძღვანელთა ავტორიტეტი და, უწინარეს ყოვლისა, ოსტატის ავტორიტეტი.

ოსტატის როლის ამაღლება წარმოებაში, მისი უფლებების გაფართოება, მეურნეობის პატარა და საშუალო ხელმძღვანელთა პოლიტიკური აღზრდა ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ჩვენი დიადი სამშობლოს სოციალისტური მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ ზრდას.

„პრავდის“ მოწინავე, 25/I.

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა. აღმწერი ი. ტ. კრიუკოვი ავსებს ამხანაგ მ. ი. კალინინის სააღწერო ფურცელს.
საქდესის ფოტოქრონიკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ

გაიყოს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი ექვს სახალხო კომისარიატად:

1. სსრ კავშირის სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:

- ა) ქვანახშირის მრეწველობის საწარმონი,
- ბ) ფიქალის მრეწველობის საწარმონი,
- გ) ნავთის ამომღები მრეწველობის საწარმონი,
- დ) ნავთის გადამამუშავებელი მრეწველობის ქარხნები,
- ე) გაზის მრეწველობისა და ხელოვნური თხევადი სათბობის მრეწველობის საწარმონი,
- ვ) ქვანახშირისა და ნავთის მანქანათმშენებლობის ქარხნები,
- ზ) ტორფის მრეწველობის საწარმონი.

2. სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:

- ა) რაიონული ელექტროსადგურები,
- ბ) ჰიდროსადგურები,
- გ) ელექტრო და თბოძალოვანი ქსელები,
- დ) ტურბმშენებლობის ქარხნები,
- ე) ქვაბმშენებლობის ქარხნები,
- ვ) ელექტრული აპარატურის დამამზადებელი ქარხნები.

3. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:

- ა) მეტალურგიული მრეწველობის ქარხნები,
- ბ) ხარისხოვანი ფოლადებისა და ფეროშენადნობთა ქარხნები,
- გ) მილსაგლინავი და მილსასხმელო ქარხნები,
- დ) სამადნო მრეწველობის საწარმონი,
- ე) ცეცხლგამძლე მრეწველობის საწარმონი,
- ვ) კოქსქიმიური ქარხნები,
- ზ) შავი ლითონების ჯართის გადამამუშავებელი და გამსაღებელი საწარმონი.

4. სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:

- ა) სპილენძსამადნო და სპილენძსადნობი მრეწველობის საწარმონი,
- ბ) თუთიის მრეწველობის საწარმონი,
- გ) ტყვიის მრეწველობის საწარმონი,
- დ) ალუმინის მრეწველობის საწარმონი,
- ე) ნიკელის მრეწველობის საწარმონი,
- ვ) ოქრო - პლატინის მრეწველობის საწარმონი,
- ზ) იშვიათ ლითონთა და კალის მრეწველობის საწარმონი,
- თ) ფერად ლითონთა დამმუშავებელი საწარმონი,
- ი) ფერად ლითონთა ჯართის დამამზადებელი, გადამამუშავებელი და გამსაღებელი საწარმონი.

5. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:

- ა) აზოტის მრეწველობის საწარმონი,
- ბ) ძირითადი და სამთო ქიმიის საწარმონი,
- გ) ლაქ-საღებავისა და ანილ-საღებავის მრეწველობის საწარმონი,
- დ) იოდ-ბრომის მრეწველობის საწარმონი,
- ე) რეზინისა და კაუჩუკის მრეწველობის საწარმონი,
- ვ) პლასტიკური მასების მრეწველობის საწარმონი.

6. სსრ კავშირის სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:

- ა) სამშენებლო მასალათა დამამზადებელი საწარმონი,
- ბ) ცემენტის ქარხნები,
- გ) ტექნიკური მინის ქარხნები,
- დ) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხე-ტყის დამამზადებელი და ხის დამმუშავებელი საწარმონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სსრ კავშირის სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩი** სსრ კავშირის სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. გ. პერვუხინის სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინი** სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. თ. ა. მერკულოვის სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. თედორე ალექსანდრეს-ძე **მერკულოვი** სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. სამოხვალოვის სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ივანეს-ძე **სამოხვალოვი** სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. თ. დენისოვის სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ თედორეს-ძე **დენისოვი** სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 24 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ა. სოსნინის სსრ კავშირის სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ლეონიდე ანტონის-ძე **სოსნინი** სსრ კავშირის სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 24 იანვარი.

არჩევნები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

24 იანვარს გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების საარჩევნო სესია. სესია სამ დღეს გაგრძელდება.

პირველ დღეს სესიის დილის სხდომაზე არჩეულ იქნენ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატები და დასახელებული იყვნენ საპატიო აკადემიკოსების კანდიდატები.

საპატიო აკადემიკოსად სესიამ დაასახელა ერთერთი უხუცესი საბჭოთა მეცნიერი-გამოჩენილი ფიზიოლოგი ვ. ი. დანილევსკი, მეცნიერი-ქალი, გამოჩენილი ექიმი, 107 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი —ქ. პ. ულეზკო-სტროგანოვა და სახელგანთქმული საბჭოთა გეოგრაფი ი. მ. შოკალსკი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატებად ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა ხაზით არჩეულნი არიან რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პროფ. ს. ლ. სობოლევი, მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ა. ნ. კოლმოგოროვი, ფიზიკურ პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორი პროფ. პ. ლ. კაპიცა, ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორი ვ. ა. ფოკი და გამოჩენილი ასტრონომი, სიმეიზის ობსერვატორიის მეცნიერი თანამშრომელი გ. ა. შაინი.

ქიმიურ მეცნიერებაში კანდიდატებად არჩეულნი არიან მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ს. ს. ნამეტკინი, ოპტიკური ინსტიტუტის პროფესორი ა. ნ. ტერენინი, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. პ. ორეხოვი, აკადემიის რადიოინსტიტუტის დირექტორი ვ. გ. ხლოპინი და სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიის პროფესორი პ. პ. შორიგინი; გეოლოგიური განყოფილების ხაზით—საბჭოთა კავშირის გმირი პ. პ. შირშოვი, გამოჩენილი გეოლოგები პ. ი. სტეფანოვი, მ. ა. უსოვი, აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ა. ა. გრიგორიევი.

○

24 იანვარს მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სესიის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატთა არჩევა. კანდიდატთა რიცხვში ბიოლოგიურ დისციპლინების დარგში პირველად შევიდნენ სამედიცინო დარგის გამოჩენილი წარმომადგენლები. განყოფილების საერთო კრებამ კანდიდატად ერთსულოვნად აირჩია ერთერთი გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ქირურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი პროფესორი ნ. ნ. ბურდენკო, პათო - ფიზიოლოგი პროფ. ა. დ. სპერანსკი, თვალის სნეულებათა ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტი ორდენოსანი პროფ. მ. ი. ავერბახი, პათოლოგი ორდენოსანი პროფ. ნ. ნ. ანიჩკოვი, პათოლოგი პროფ. ა. ი. აბრიკოსოვი.

არჩეულნი არიან აგრეთვე დიდი მეცნიერი ბიოლოგები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო სამეურნეო აკადემიის პრეზიდენტი, ორდენოსანი პროფ. ტ. დ. ლისენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი პროფ ნ. ვ. ციცინი, მეცნიერებათა აკადემიის ტაჯიკეთის ბაზის დირექტორი, ორდენოსანი პროფ. ე. ნ. პავლოვსკი, ფიზიოლოგი ქალი, ჯანსახკომის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ლ. ს. შტერნი, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ფიზიოლოგი ორდენოსანი პროფ. ი. ს. ბერიტაშვილი.

28 და 29 იანვარს შესდგება მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, სადაც მოხდება აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები. ამ კრების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის საარჩევნო სესია დაიხურება.

სესხი—მესამე ხუთწლედის სესხის ობლიგაციების გირავნობით

მესამე ხუთწლედის სესხის ობლიგაციების (პირველი წლის გამოშვება) გირავნობით სესხი იმ პირობებით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 20 ივლისის დადგენილებით, გაიცემა შემნახველ სალაროების მიერ 1939 წლის 15 დეკემბრიდან.

დიდი მფრინავის ხსოვნისათვის

კუიბიშევი, 24 იანვარი (საქდესი). საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა კუიბიშევის ჯემთსარემონტო ქარხნის კოლექტივის შუამდგომლობით ამ ქარხანას უწოდა ჩვენი დროის დიდი მფრინავის ვალერი პავლეს-ძე **ჩკალოვის** სახელი.

სამუშაოს გაცდენისათვის დათხოვნილი მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოზე მიღების შესახებ

ადგილებიდან მიღებულ შეკითხვებთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახკომსაბჭო, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო განმარტავენ, რომ სამუშაოს გაცდენისათვის დათხოვნილი მუშები და მოსამსახურეები არ შეიძლება მიღებულ იქნან სამუშაოზე იმავე საწარმოში ან დაწესებულებაში სამი თვის განმავლობაში, მაგრამ ისინი შეიძლება დაუყოვნებლივ იქნან მიღებული სხვა საწარმოებში ან დაწესებულებებში. პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც ისინი სამუშაოზე შეიძლება მიღებულ იქნან მხოლოდ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით „შრომის დისციპლინის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის თანახმადაც სამუშაოს გაცდენისათვის დათხოვნილნი ჰკარგავენ თავის განუწყვეტელ სტაჟს და მასთან დაკავშირებულ უფლებებსა და უპირატესობებს, ამასთან ამა თუ იმ საწარმოში ან დაწესებულებაში შესვლისას ისინი განიხილებიან ისე, როგორც ყველა, ვინც პირველად იწყებს მუშაობას და არა აქვს მუშაობის სტაჟი (საქდესი).

მფრინავ გლებოვის საერთაშორისო რეკორდი

1938 წლის 12 ოქტომბერს ქ. ვორონეჟში მფრინავმა — კაპიტანმა ამხ. გლებოვმა მგზავრ ა. ბუზუნოვთან ერთად ჩაატარა სიმაღლის სარეკორდო გაფრენა. მრავალადგილიანი სასპორტო თვითმფრინავით „სამ 5—2 ბის“, რომელზედაც დადგმული იყო 150 ცხენის ძალის სიმძლავრის მოტორი „მ—11“, ისინი 6.095 მეტრ სიმაღლეზე ავიდნენ.

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიამ 24 იანვარს მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ ამხ. გლებოვის გაფრენის შედეგი საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ დაამტკიცა, როგორც სიმაღლის საერთაშორისო რეკორდი პირველი კატეგორიის მსუბუქი მრავალადგილიანი თვითმფრინავების კლასით.

საქართველოს ქაღალდის პირველი ტონები

24 იანვარს ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატმა დაამზადა პირველი სამრეწველო პროდუქცია

ზუგდიდი, 25 იანვარი (საქდესი). დამთავრდა საქართველოს სსრ ქაღალდის მრეწველობის პირმშოს — ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის აგრეგატების გამოცდა. 21 იანვარს მოხდა ქაღალდის დატვირთული მანქანის გამოცდა და რეგულირება. ლენინგრადის მეორე ხუთწლედის სახელობის ქარხნის მიერ გაკეთებული მანქანის მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ამავე დღეს კომბინატმა დაიწყო ცელულოზის დამზადება და გათეთრება.

24 იანვარს 17 საათსა და 20 წუთზე ქაღალდის მანქანამ გამოუშვა მასა, ხოლო კიდევ 20 წუთის შემდეგ — პირველი ქაღალდიც. 23 საათზე კომბინატმა ჩვენს ქვეყანას მისცა სამრეწველო პროდუქცია — სამი ტონა კეთილხარისხოვანი ქაღალდი.

ქ. ვ. პროზოროვი.

ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მშენებლობის უფროსი.

უკრაინისა და საქართველოს სს რესპუბლიკების რკინიგზელთა შეჯიბრება

1938 წლის დეკემბერში სტალინის სახელობის რკინიგზის ნიჟნე-დნეპროვსკის სამორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის სამორთქლმავლო დეპოს კოლექტივი. თბილისელებმა მიიღეს უკრაინელი რკინიგზელების წინადადება.

25 იანვარს თბილისში ჩამოვიდა ნიჟნე - დნეპროვსკელთა დელეგაცია, რომელშიც შედიან დეპოს უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. შმატკოვი, დეპოს პარტორგი ამხ. ბეტჩერი, მემანქანე - ინსტრუქტორი ამხ. სელიუტი, ზეინკალი ამხ. კოტოვი და ინჟინერი ამხ. ულჩენკო.

საღამოს, დეპოს ახალ კლუბში შესდგა საზეიმო კრება, მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ხელმოწერისადმი.

კრებაზე პირველმა სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შმატკოვმა, რომელმაც დამსწრეებს გაუზიარა ნიჟნე-დნეპროვსკის სამორთქლმავლო დეპოს მუშაობის გამოცდილება. თბილისის სამორთქლმავლო დეპოს უფროსმა ამხ. სარალიძემ თავის სიტყვაში ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც სდგას თბილისის დეპოს კოლექტივის წინაშე სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

სტუმრებს გულმხურვალედ შეისალმნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ა. წიკლაური, კრივონოსელი მემანქანეები ამხ. ყიფიანი, კაპრანოვი, ბრიგადირ-ზეინკალი ამხ. ბერიაშვილი და სხვ. (საქდესი).

28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში ქართულ ენაზე შესდგება ამხ. **ლ. ს. გეგეშიძის** ლექცია თემაზე:

„ვ. ი. ლენინის ბრძოლა ეკონომიზმის წინააღმდეგ და მნიშვნელობა წიგნისა „რა ვაკეთოთ?“.

შესვლა 1 მანეთი. ბილეთები წინასწარ იყიდება ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პროსპექტი, № 21.

კონსულტაცია

ლენინისა და სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ

მ. მიჯინი

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ გააცამტვერა მტკიცება კაპიტალიზმის სწავლული ლაქიებისა, რომლებმაც აახუნულავეს „შრომების" მთები იმის დასამტკიცებლად, რომ სოციალიზმი საერთოდ წარმოუდგენელი და შეუძლებელია. სოციალიზმის გამარჯვებამ, განმტკიცებულმა სტალინური კონსტიტუციის მკვეთრ პარაგრაფებში, დაამსხვრია ყველა თეორიული „პროგნოზები", ხრიკები რეფორმისტებისა, ოპორტუნისტებისა, რომლებსაც სერიოზულად არასოდეს არ უფიქრიათ სოციალისტურ რევოლუციაზე და სოციალიზმის გამარჯვებაზე. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებამ დაამთავრა სრული იდეური განადგურება ტროცკიზმისა და ბუხარინელობის გამცემლური, მუშათა კლასის დიქტატურისადმი მთლიანად მტრული „იდეებისა" იმის შესახებ, რომ უიმედოა ფიქრი სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებაზეო.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, მოძღვრება იმპერიალიზმის პირობებში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში, — ბრწყინვალედ დადასტურდა პრაქტიკაში. ცხოვრებამ დაამტკიცა მარქსისტულ - ლენინური თეორიის სიმართლე, ძალა შემოქმედებითი მარქსიზმისა, რომელიც განვითარებულია ლენინისა და სტალინის შრომებში.

მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ამ თეორიის საფუძვლები ლენინმა დაამუშავა ჯერ კიდევ 1905 წელს წიგნში „სოციალ - დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ამ გენიალურ ნაშრომში ლენინმა დაასაბუთა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის, ჰეგემონიის აუცილებლობა მომავალ ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციაში. გავრცელებული მენშევიკური „თეორიების" საწინააღმდეგოდ, რომლებშიც უარყოფილი იყო გლეხობის რევოლუციური შესაძლებლობანი, ლენინმა დაამუშავა იდეა პროლეტარიატისა და გლეხობის **კავშირისა** ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, იდეა პროლეტარიატისა და მშრომელი ექსპლოატირებული მასების **კავშირისა** ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის დროს.

ლენინმა მაშინ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სოციალ-დემოკრატიული პარტიების ძველ დოგმატურ წარმოდგენებს.

როგორც ნამდვილმა შემოქმედებითმა მარქსისტმა და მარქსისტული დიალექტიკის გენიალურმა ოსტატმა, ლენინმა შეისწავლა მთელი თავისებურება იმ კონკრეტული ვითარებისა, რომელიც რუსეთში XX საუკუნის დასაწყისისათვის შეიქმნა. ლენინმა დაამტკიცა სიცრუე II ინტერნაციონალის ლიდერების ტრადიციული შეხედულებებისა იმ უფსკრულის შესახებ, რომლითაც ვითომც გაყოფილი არიან ერთმანეთისაგან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციები. ლენინის მოძღვრებაში ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციაში **პროლეტარიატის ჰეგემონიის** შესახებ, ამ რევოლუციის **სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის** შესახებ ჩვენ ვხედავთ რევოლუციური დიალექტიკის შესანიშნავ ნიმუშებს.

მუშათა კლასის აქტიური, ინიციატიური, ხელმძღვანელი როლის მენშევიკური უარყოფის საწინააღმდეგოდ, ლენინმა წამოაყენა მოქმედებათა საბრძოლო პროგრამა, დაამუშავა პროლეტარული პარტიის ტაქტიკის საფუძვლები, მოგვცა ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის და სოციალისტურ რევოლუციაში მისი შემდგომი გადაზრდისათვის ბრძოლის ნათელი პერსპექტივა.

ლენინის ამ იდეების მნიშვნელობა ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. მან გაამდიდრა მარქსიზმი კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილების განზოგადოებით. ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინურ იდეაში სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გაშლაზე მის საბრძოლო ორიენტირებაში უკვე მოცემული იყო ყველა ძირითადი ელემენტები იმისათვის, რომ შემდეგში გაკეთებული ყოფილიყო დასკვნა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ეს დასკვნა შემდეგში კიდეც გააკეთა ლენინმა.

1. სოციალისტური რევოლუციის ახალი ლენინური თეორია

ჭეშმარიტება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინმა **აღმოაჩინა 1915** წელს, როდესაც გაჩაღებული იყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, და ჩამოაყალიბა იგი სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ":

„ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა,—სწერდა ლენინი, — კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში". (ტ. XVIII, გვ. 232).

ამავე საკითხს ლენინი უბრუნდება თავის სტატიაში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა" 1916 წლის შემოდგომაზე:

„კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა ქვეყნებში მეტისმეტად უთანაბროდ სწარმოებს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დროს. აქედან უდავო დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია გაიმარჯვოს **ყველა** ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს. ის თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები რამდენიმე ხნის განმავლობაში დარჩებიან ბურჟუაზიულები ან წინაბურჟუაზიულები" (ტ. XIV, გვ. 325).

ასეთია დასკვნა, რომელიც გამოიყვანა ლენინმა კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტური სტადიის შესწავლის შედეგად. ეს დასკვნა ემყარება იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონს, აღმოჩენილს ლენინის მიერ. ლენინის მოძღვრება ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების **შესაძლებლობის** შესახებ, იმპერიალიზმის ეპოქაში ყველა ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვების **შეუძლებლობის** შესახებ ნიშნავდა ამ საკითხზე მარქსისტების ძველი, წინაიმპერიალისტური კაპიტალიზმის პერიოდში გაბატონებული დებულების შეცვლას ახალი დებულებით, რომელიც შეესაბამება იმპერიალიზმის პირობებს.

წინაიმპერიალისტური კაპიტალიზმის პერიოდში ყველა მარქსისტები, მარქსით და ენგელსით დაწყებული, ემხრობოდნენ იმ თვალსაზრისს, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში შეუძლებელია. იმისათვის, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვოს, საჭიროა, ამბობდნენ მარქსისტები, რევოლუცია ერთსა და იმავე დროს ყველა ქვეყნებში. ყველაზე უფრო პირდაპირი და დასრულებული ფორმით ეს თვალსაზრისი გამოხატა ენგელსმა თავის შრომაში „კომუნიზმის პრინციპები" (1847 წელი):

„შეუძლია თუ არა ამ რევოლუციას მოხდეს ერთ რომელიმე ქვეყანაში? პასუხი: არა... კომუნისტური რევოლუცია იქნება არა მარტო ნაციონალური, არამედ მოხდება ერთსა და იმავე დროს ყველა ცივილიზებულ ქვეყნებში, ე. ი., ყოველ შემთხვევაში, ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში და გერმანიაში" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. V, გვ. 476).

მარქსი ენგელსთან მიწერ-მოწერაში 1858 წელს ამტკიცებდა, რომ სოციალისტური რევოლუცია ევროპის კონტინენტის რომელიმე ერთ უბანზე „აუცილებლად განადგურებული იქნება იმის გამო, რომ განუზომელად უფრო ფართო ტერიტორიაზე ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობა ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით მიდის".

როგორც ამხანაგ სტალინს არაერთხელ აღუნიშნავს, ეს პრინციპული დებულება **სწორი იყო** კაპიტალიზმის წინაიმპერიალისტური განვითარების ეპოქისათვის. რით იყო ეს სტადია დამახასიათებელი? კაპიტალიზმი მიდიოდა **„ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით"**, გრძელდებოდა მისი განვითარების აყვავებული პერიოდი. დედამიწა ჯერ კიდევ არ იყო განაწილებული კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. ისინი ჯერ კიდევ „მშვიდობიანად", მსოფლიო ხასიათის მწვავე შეტაკებების გარეშე, იპყრობდნენ ახალ კოლონიებს, გასაღებისა და ნედლეულის ბაზრებს, რომლებიც არავის არ ეჭირა.

ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა ჯერ კიდევ არ იყო ისეთი მწვავე, როგორც შემდგომ ეპოქაში, იმპერიალიზმის ეპოქაში. ამ პირობებში ენგელსის ფორმულა მსოფლიოს ყველა გადამწყვეტ ქვეყნებში კომუნისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს მოხდენის აუცილებლობის შესახებ სწორი იყო.

საქმე ძირფესვიანად შეიცვალა, როდესაც დადგა იმპერიალიზმის ეპოქა, როდესაც XX საუკუნის დასაწყისისათვის მოხდა გადასვლა „ძველიდან ახალი კაპიტალიზმისაკენ" (ლენინი, ტ. XIX, გვ. 107).

1916 წელს ლენინმა შექმნა თავისი გენიალური შრომა „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" — მარქსის „კაპიტალის" პირდაპირი გაგრძელება და განვითარება. ლენინმა ამ წიგნში მოგვცა ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზი და განმარტება იმ ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენებისა, რომლებმაც თავი იჩინეს ახალ ისტორიულ ეპოქაში.

კაპიტალისტური წყობილების განვითარების ახალი ეპოქის ლენინურ ანალიზს, იმპერიალიზმის ახალ კანონზომიერებათა აღმოჩენას — უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ლენინი გამოვიდა როგორც მძლავრი ნოვატორი საზოგადოებრივ მეცნიერებაში. II ინტერნაციონალის „გმირები", კაპიტალიზმის ლაქიები, ფილისტერები, მუშათა კლასის გამცემლები მლიქვნელურად უწინასწარმეტყველებდნენ კაპიტალიზმს აყვავებისა და კეთილდღეობის ასეულ წლებს. ლენინმა უარჰყო ყველა ეს „თეორია", წავიდა კაპიტალიზმის სოციალ - დემოკრატიული შექების ტალღის წინააღმდეგ, დაამტკიცა, რომ იმპერიალისტურ სტადიაში კაპიტალიზმი მთლიანად კი არ იფურჩქნება, არამედ დაღმავალი ხაზით მიექანება, **პარაზიტობს, ლპება.** კაპიტალიზმმა უკვე ამოსწურა თავისი ისტორიულ - პროგრესიული ძალები. არაჩვეულებრივად იზრდება და ღრმავდება იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიული წყობილების ყველა წინააღმდეგობა, სწრაფად მწიფდება კაპიტალიზმის რევოლუციური აფეთქების ელემენტები.

იმპერიალიზმი ნიშნავს ფინანსიური ოლიგარხიის — ფინანსიური კაპიტალის მეფეების ბატონობას, მონოპოლიათა კოლოსალურ ზრდას, საწარმოო ძალთა განვითარების ნახტომისებურობის წინათ არნახულ გაძლიერებას. მსოფლიოს განაწილება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის დამთავრდა. დედამიწა იმპერიალიზმისათვის „ვიწრო" შეიქნა. მსოფლიო მეურნეობა ვითარდება სხვისი ტერიტორიებისათვის, გასაღებისა და ნედლეულის ბაზრებისათვის უმთავრეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის გააფთრებული ბრძოლის პირობებში. სწარმოებს ზოგი ქვეყნის სწრაფი დაწინაურება და ზოგის გამოდევნა. ეს განვითარება მეტად უთანაბროდ, ნახტომისებურად, კონფლიქტურად სწარმოებს.

ლენინის უდიდეს აღმოჩენათაგან, რომლებიც ეხება განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში კაპიტალიზმის განვითარებას კანონებს, ერთერთია კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების **უთანაბრობის** კანონი. განვითარების უთანაბრობას ადგილი ჰქონდა წინათაც, სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში. მაგრამ იმპერიალიზმზე გადასვლასთან ერთად, ეს უთანაბრობა **ხარისხობრივად** სხვა გამოხატულებას ღებულობს. ხარისხობრივი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალიზმის ცოტად თუ ბევრად მწყობრი ევოლუციური განვითარება, განვითარება მსოფლიო მასშტაბის აუცილებელ სამხედრო შეტაკებათა გარეშე, იცვლება კაპიტალისტური ქვეყნების უაღრესად სწრაფი, ნახტომისებური განვითარებით, რომელიც აღსავსეა გრანდიოზული, მთელი მსოფლიოს მომცველი ომის ხანძრებით, იმ ვითარებაში, როდესაც დედამიწა უკვე განაწილებულია, როდესაც კაპიტალიზმი **მთლიანად უკვე დაღმავალი ხაზით მიდის.**

ყველა ეს გარემოება იწვევს იმპერიალიზმის ბანაკში წინააღმდეგობათა უკიდურეს გაძლიერებასა და გამწვავებას, იმპერიალიზმის შესუსტებას და ამით აუცილებელს ხდის იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტას მის ყველაზე სუსტ რგოლში. სწორედ აქედან გამომდინარეობს ყველა ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვების შეუძლებლობა, სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა რამდენიმე ან თუნდაც ერთის, ცალკე აღებულ, ქვეყანაში.

მარქსისტებიდან ლენინმა პირველმა გააკეთა ეს უაღრესად ფუნდამენტალური აღმოჩენა საზოგადოებრივ მეცნიერებაში. მან დაამსხვრია ძველი წარმოდგენები, რომლებიც უვარგისი გახდნენ ახალი ისტორიული ეპოქისათვის. მტკიცედ მისდევდა რა მარქსის მეთოდს და მარქსისტული მოძღვრების მთელ სულს, უფარდებდა რა მარქსიზმს ახალ, შეცვლილ პირობებს, ლენინმა ბევრად წასწია წინ მარქსისტული თეორია.

ლენინის, როგორც მარქსისა და ენგელსის განმგრძობის, სიდიადე, ამბობდა ამხანაგი სტალინი, მდგომარეობს იმაში, რომ იგი მარქსიზმში არასოდეს არ იყო ასოს მონა. ლენინი მტკიცედ მისდევდა მარქსისა და ენგელსის მითითებებს იმის შესახებ, რომ არ შეიძლება მივუდგეთ მარქსიზმს, როგორც გაყინულ დოგმას, არამედ უნდა განვიხილოთ მარქსიზმი როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისათვის.

ლენინის სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან აშკარად და პატიოსნურად, უყოყმანოდ დააყენა საკითხი, რომ საჭიროა სოციალისტური რევოლუციის ძველი ფორმულის გადასინჯვა და მისი შეცვლა ახალი ფორმულით — ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ლენინის აღმოჩენა საბრძოლო იარაღს აძლევდა მუშათა კლასს, გადაშლიდა მის წინაშე ბრწყინვალე რევოლუციურ პერსპექტივებს, აღვივებდა ცალკეული ქვეყნების პროლეტარიატის ინიციატივას თავის ბურჟუაზიაზე შეტევისათვის, განუმტკიცებდა მუშათა კლასს მომავალი გამარჯვების რწმენას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მარქსიზმის მტრები და მუშათა კლასის საქმის მოღალატეები — მენშევიკები, კაუტსკელები, ტროცკისტები — ასეთი გააფთრებით ესხმოდნენ თავს ლენინის მოძღვრებას. უკვე 1915 წელს ძველი მენშევიკი და მარქსიზმის საზიზღარი ფალსიფიკატორი იუდა-ტროცკი დაიშურა გამოეცხადებინა ომი ლენინის დებულებისათვის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

„რა მოუვიდოდა პარტიას, — ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში", — ჩვენს რევოლუციას, მარქსიზმს, რომ ლენინს ქედი მოეხარა მარქსიზმის ასოს წინაშე, რომ მას არ ჰყოფნოდა თეორიული გამბედაობა — უკუეგდო მარქსიზმის ერთ-ერთი ძველი დებულება და შეცვალა იგი ახალი დასკვნით ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც შეეფერებოდა ახალ ისტორიულ ვითარებას? პარტია დაიბნეოდა წყვდიადში, პროლეტარული რევოლუცია ხელმძღვანელობას დაჰკარგავდა, მარქსისტული თეორია დაუძლურებას დაიწყებდა. წააგებდა პროლეტარიატი, მოიგებდნენ პროლეტარიატის მტრები" (გვ. 434, ქართ. გამ.).

უკანასკნელ ხანებში ჩვენს პროპაგანდისტულ მუშაობაში, როგორც ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ, ვულგარიზატორულად მახინჯდებოდა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია. ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, მაგრამ მხედველობიდან უშვებდნენ იმას, რაზედაც არაერთხელ სწერდნენ ლენინი და სტალინი, სახელდობრ იმას, რომ უთანაბრო განვითარების კანონის ძალით სოციალისტური რევოლუციის **ერთსა და იმავე დროს** გამარჯვება ყველა ქვეყნებში შეუძლებელია. საკითხის ასეთი დაყენების ღრმა აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მასში მთელი სიმკვეთრით ხაზგასმულია სოციალისტური რევოლუციის ლენინის მიერ აღმოჩენილი ახალი ფორმულის **მთელი განსხვავება** იმ ძველი ფორმულისაგან, რომელსაც ემხრობოდნენ მარქსისტები სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში.

ლენინის გეზი, რომელმაც ზღვარული პირდაპირობითა და სიცხადით ჩამოაყალიბა დებულება, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში **შეუძლებელია** ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება ერთსა და იმავე დროს, მობილიზაციას უკეთებს ცალკეული ქვეყნების მუშათა კლასს რევოლუციური ბრძოლისათვის თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, აღაგზნებს რევოლუციურ ენერგიას იმპერიალიზმის ჯაჭვის გასაწყვეტად მის ყველაზე უფრო სუსტ რგოლებში. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ორივე მხარე **აღებულ უნდა იქნას ერთად, ერთიმეორისაგან მოუწყვეტლად.** ისინი სწორედ ერთად იძლევიან მთლიან, დასრულებულ წარმოდგენას სოციალისტური რევოლუციის ახალი ლენინური თეორიის შესახებ.

2. ლენინური თეორიის უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მნიშვნელობა

ლენინურ აღმოჩენას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს ადამიანთა საზოგადოების მთელი განვითარებისათვის.

ამ თეორიის საფუძველზე ლენინმა თავის 1917 წლის აპრილის გენიალურ თეზისებში დაამუშავა საბრძოლო კონკრეტული გეგმა რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისა — გეგმა სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა.

ამ თეორიის საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა პარტიის VI ყრილობაზე განაცხადა, რომ „სწორედ რუსეთი იქნება ის ქვეყანა, რომელიც გაკაფავს გზას სოციალიზმისაკენ".

ამ თეორიის დროშით მიდიოდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეებზე იერიშის მისატანად 1917 წლის ოქტომბრის საბრძოლო დღეებში.

ბოლშევიკური პარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელიც აღიარებდა რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას და რომელსაც ჰქონდა ნათელი, კონკრეტული პროგრამა ამ გამარჯვებისათვის ბრძოლისა. მხოლოდ ასეთი ნათელი პროგრამით შეიძლებოდა მუშათა კლასისა და მშრომელი მასების გაყოლიება კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მართლაც, რათ იბრძოლებდნენ მშრომელები რევოლუციისათვის, თუ იფიქრებდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმე, სხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის შეფერხების პირობებში, იქნებოდა უიმედო საქმე, წინასწარვე განწირული ჩაშლისათვის?

1917 წლის ოქტომბრის შემდეგ ლენინი და სტალინი არაერთხელ უბრუნდებოდნენ საკითხს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. 1919 წელს სტატიაში „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში" ლენინი სწერდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ჩვენს ქვეყანაში — ეკონომიური თვალსაზრისით — სავსებით უზრუნველყოფილია კომუნიზმის გამარჯვება. 1921 წელს თავის ცნობილ ბროშურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ" ლენინი მიგვითითებდა, რომ ჩვენ სავსებით შეგვიძლია ავაშენოთ და კიდეც უნდა ავაშენოთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი. 1923 წელს სტატიაში „კოოპერაციის შესახებ" ლენინი სწერდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს „ყველაფერი, რაც კი საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის" (ტ. XXVII, გვ. 392).

1920 წლის ოქტომბერში ამხანაგმა სტალინმა კავკავში დონისა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირზე მოხსენებაში, ამხელდა რა ტროცკისტულ კონტრრევოლუციურ „იდეებს", განაცხადა: „აღმოჩნდა, რომ სოციალისტური რევოლუცია შეიძლება არა მარტო დაიწყოს ჩამორჩენილ ქვეყანაში, არამედ წარმატებითაც დამთავრდეს, წავიდეს წინ, იყოს მაგალითი კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისათვის".

რაზმავდნენ რა ბრძოლისათვის მუშათა კლასის ყველა ძალებს, ნებისყოფასა და ძლიერებას, ლენინი და სტალინი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს აღაფრთოვანებდნენ სოციალისტური საზოგადოების აშენების, ხალხისათვის საამური და ბედნიერი ცხოვრების დიადი მიზნით.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინური თეორიის დიადი ძალა აღაფრთოვანებდა მუშებსა და გლეხებს მემამულეებთან და კაპიტალისტებთან, თეთრგვარდიელებთან და უცხოელ ინტერვენტებთან საბრძოლველად, სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა რესპუბლიკას მოუხდა გაევლო უმძიმეს განსაცდელთა მთელი ხანა. რუსეთის დამარცხებულმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა გამართეს მოლაპარაკება სხვა ქვეყნების კაპიტალისტებთან საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის მოწყობის შესახებ მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის განადგურების, რუსეთში კაპიტალიზმის რესტავრაციის, უცხოეთის ბურჟუაზიის მიერ ჩვენი ქვეყნის დამონებისა და დანაწილების მიზნით. ბოლშევიკურმა პარტიამ ფეხზე დააყენა „მუშები და გლეხები **სამშობლოს დასაცავი** ომისათვის უცხოელი დამპყრობელებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური თეთრგვარდიული ხროვის წინააღმდეგ" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 300, ქართ. გამ.).

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც წინ ჰქონდა გარკვეული მიზანი — სოციალიზმის გამარჯვება, სამშობლოს დასაცავ სამოქალაქო ომში გაანადგურა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების ურდოები, აღადგინა დანგრეული სახალხო მეურნეობა.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის დროშით, ამხანაგ სტალინის — ლენინის საქმის განმგრძობის ხელმძღვანელობით განხორციელებულ იქნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გენიალური გეგმა. სსრ კავშირის კონსტიტუციამ, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულმა კონსტიტუციამ, კანონმდებლობითი გზით გააფორმა სოციალისტური წყობილების გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

3. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის განვითარება ამხანაგ სტალინის მიერ

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი განსაკუთრებული ძალითა და სიმწვავით დაისვა ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ, აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის. როგორი იყო მაშინ, 1925 წელს, საშინაო და საერთაშორისო ვითარება? ბოლშევიკების პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი შესვენება და ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზებზე აღადგინა სახალხო მეურნეობა. პროლეტარული რევოლუცია სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში აშკარად იგვიანებდა. კაპიტალიზმი შევიდა დროებითი შედარებითი სტაბილიზაციის პერიოდში. კაპიტალიზმის ამ დროებითს ნაწილობრივ სტაბილიზაციას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა წინააღმდეგობათა ახალი ზრდა, მათი ახალი გამწვავება, ამით ის ამჟღავნებდა კაპიტალისტური წყობილების მთელ სიდამპლეს და ახალი რევოლუციური აღმავლობის გარდუვალობას.

სსრ კავშირი, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა, აგრეთვე განიცდიდა თავისი სტაბილიზაციის პერიოდს. მაგრამ ჩვენი სტაბილიზაცია ძირფესვიანად განსხვავდებოდა კაპიტალიზმის სტაბილიზაციისაგან. ის მოწმობდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერების განუწყვეტელ ზრდას.

ამ პირობებში მთელი ძალით დაისვა საკითხი სსრ კავშირში სოციალიზმის ბედიღბლის შესახებ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა — სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ? როგორც მითითებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში", საკითხი ასე იდგა:

„უნდა ავაშენოთ თუ არა და შეგვიძლია თუ არა ჩვენ ავაშენოთ სოციალისტური მეურნეობა — თუ ჩვენ ბედად გვიწერია გავაპოხიეროთ ნიადაგი სხვა, კაპიტალისტური მეურნეობისათვის? შესაძლებელია თუ არა საერთოდ სოციალისტური მეურნეობის აშენება სსრ კავშირში, ხოლო თუ შესაძლებელია, შეიძლება თუ არა მისი აშენება კაპიტალიზმის სტაბილიზაციისა და კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციის დაგვიანების პირობებში? შესაძლებელია თუ არა სოციალისტური მეურნეობის აშენება ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზებზე, რომელიც, ყოველმხრივ განამტკიცებს და აფართოებს რა სოციალიზმის ძალებს ჩვენს ქვეყანაში, ამასთან ერთად ჯერჯერობით კაპიტალიზმის ერთგვარ ზრდასაც იძლევა?" (გვ. 330).

ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ, ასრულებდა რა იგი ლენინის ანდერძს, გასცა ამაზე ერთადერთი შესაძლებელი და ერთადერთი სწორი პასუხი: ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც კი საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებლად, ვაშენოთ, გამარჯვება ჩვენი იქნება!

და აი აქ პარტიის წინააღმდეგ ამხედრდნენ პროლეტარული დიქტატურის ყველა მტრები, ხალხის მტრები — სოციალიზმის მოღალატენი. იფარებდნენ რა „ორთოდოქსების" ყალბ ნიღაბს, ჯამბაზობდნენ რა მარქსისა და ენგელსის ნაშრომებიდან მექანიკურად ამოგლეჯილი ციტატებით, გამოდიოდნენ რა ვითომდა „ნაციონალური შეზღუდულობის" წინააღმდეგ, ეს უსაზიზღრესნი მარქსიზმ-ლენინიზმის საზიზღარ მტერთაგან — ტროცკისტ - ზინოვიეველი გამცემელნი ცდილობდნენ გამოეცალათ შინაარსი ლენინური მოძღვრებისათვის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, დაემახინჯებინათ და არარაობად ექციათ ეს მოძღვრება. მათ სურდათ მოესპოთ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი, შეეყენებინათ ჩვენი ქვეყანა კაპიტალიზმის რესტავრაციის რელსებზე.

იმისათვის, რომ, მიუხედავად მტრების წინააღმდეგობისა, შეგვესრულებინა ლენინის მითითებანი— დაგვეძლია ჩვენი ტექნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობა და აგვეშენებინა სოციალისტური ეკონომიკა, — საჭირო იყო მოგვეხდინა ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ნებისყოფის მობილიზაცია, წარგვემართა მთელი ძალები სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. და თუ ისტორიის სასწორზე ჩვენ გადავძლიეთ, ამაში დიადი დამრაზმავი და მაორგანიზებელი როლი ითამაშა ლენინურ - სტალინურმა მოძღვრებამ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ.

განსაკუთრებული ძალითა და სიმამაცით, კლასიკური სიღრმითა და მკაფიობით გამოააშკარავა ამხანაგმა სტალინმა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების ყველა ოინები და, შემოქმედებით ანვითარებდა რა სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას, მან ბრძოლა გაუმართა ტროცკიზმს მთელ ფრონტზე.

მთელ რიგ თავის ნაშრომებში— „რკპ (ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის"; „სოციალ - დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში"; „ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში" — ამხანაგმა სტალინმა **ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ლენინური მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ,** გაამდიდრა და განავითარა იგი, დაამუშავა მარქსიზმ-ლენინიზმის ეს ძირითადი პრობლემა სსრ კავშირში სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის გადამწყვეტი ბრძოლების პერიოდში.

ჯერ კიდევ 1925 წელს, გამოდიოდა რა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის XIII საგუბერნიო კონფერენციაზე, ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ტროცკიზმი „ცდილობს დანერგოს რწმენის უქონლობა ჩვენი რევოლუციის ძალებისადმი, რწმენის უქონლობა მუშათა და გლეხთა კავშირის საქმისადმი, რწმენის უქონლობა ნეპური რუსეთის სოციალისტურ რუსეთად გადაქცევის საქმისადმი. ამიტომ, თუ არ გავანადგურეთ ტროცკიზმი, არ შეიძლება მივაღწიოთ გამარჯვებას ნეპის პირობებში, არ შეიძლება მივაღწიოთ ახლანდელი რუსეთის გადაქცევას სოციალისტურ რუსეთად".

ააშკარავებდა რა ტროცკისტების ფალსიფიკაციას, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს იმპერიალიზმამდე განვითარების უთანაბრობა მეტი იყო, ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა მთელი დიალექტიკა განვითარებისა იმპერიალიზმის ეპოქაში. განსხვავება ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა განვითარების დონეში **ეცემა,** ჩამორჩენილი ქვეყნები აჩქარებენ თავის განვითარებას და ეწევიან მოწინავეებს, **ნიველირება იზრდება,** და ამასთან ერთად ხდება კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის უდიდესი გაძლიერება.

ასაბუთებდა და ანვითარებდა რა სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას, ამხანაგი სტალინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ საჭიროა განვასხვავოთ ორი მხარე საკითხისა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ — შინაგანი და გარეგანი.

საკითხის შინაგანი მხარე განისაზღვრებოდა შემდეგი მომენტებით: გვაქვს თუ არა ჩვენ ქვეყნის შიგნით მონაცემები მისი ტექნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, მონაცემები სოციალიზმის აშენებისათვის? გვაქვს თუ არა ჩვენ ჩვენი ქვეყნის შიგნით ძალები კაპიტალიზმის ელემენტების დაძლევისათვის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ერთგვარ წინააღმდეგობათა დაძლევისათვის? შეუძლიათ თუ არა გლეხობის ძირითად მასებს ჩაებან სოციალისტური მშენებლობის საქმეში? აქვს თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს შესაძლებლობა გაიყოლიოს გლეხობის ძირითადი მასები სოციალისტური მშენებლობის გზით?

და პარტია, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მთლიანად და სავსებით ასრულებდა რა სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას, უპასუხებდა: დიახ, მუშათა კლასი თავისი ხელმძღვანელობით წაიყვანს გლეხობას სოციალიზმისაკენ, შეძლებული, საამური, ბედნიერი ცხოვრებისაკენ. პარტია ამბობდა, რომ არის ბაზა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ერთგვარ წინააღმდეგობათა დაძლევისათვის — მუშათა კლასსა და გლეხობას ხომ **ძირითადი საერთო ინტერესები** აქვთ. პარტია მიუთითებდა, რომ ჩვენ უთუოდ შევძლებთ დავძლიოთ ჩვენი ტექნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობა და ავაშენოთ სოციალიზმი ჩვენში, მოვიკრებთ რა ძალებს ჩვენი ქვეყნის შიგნით — მუშებსა და გლეხებში.

პარტია ამბობდა, რომ თუ ჩვენ ვაწარმოებთ ლენინურ პოლიტიკას, თუ განვამტკიცებთ მუშათა კლასის კავშირს გლეხობის ძირითად მასებთან, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, თუ ულმობელად გავანადგურებთ რწმენანაკლებთ, მოწუწუნეებსა და გამცემლებს, — ჩვენ დანამდვილებით გავიმარჯვებთ, — და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი გაიმარჯვებს.

მაგრამ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს აქვს კიდევ მეორე, გარეგანი მხარე. ლაპარაკია გარეშე კაპიტალისტურ გარემოცვასთან სოციალიზმის ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ამბობდა პარტია, იქნება კაპიტალისტური ქვეყნების მხრით ინტერვენციის საფრთხეც და, მაშასადამე, ძველი ბურჟუაზიული წესწყობილების აღდგენის საფრთხეც.

არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ წინააღმდეგობათა პირველი ჯგუფი და წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფი — ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხის შინაგანი და გარეგანი მხარე. თუ ქვეყნის შიგნით ჩვენ გვაქვს ყველაფერი შესაძლებელი და აუცილებელი სრული სოციალისტური საზოგადოების მისაღწევად, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება დაკავშირებულია კაპიტალისტური გარემოცვის კრახთან. იმ დრომდე, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ვიდრე სსრ კავშირი იარსებებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ზღვით გარემოცული, იმ დრომდე ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება საბოლოო გამარჯვებად ჩავთვალოთ.

სულ ცოტა ხნის წინათ ამხანაგმა სტალინმა კომკავშირელ ამხ. ივანოვის წერილზე გაცემულ პასუხში ერთხელ კიდევ გააშუქა ძირითადი საკითხები მოძღვრებისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. როგორც ამხ. ივანოვის წერილიდან სჩანს, ჩვენში ფართო გავრცელება ჰპოვა ძირფესვიანად შემცდარმა მტკიცებებმა, თითქოს ჩვენ უკვე მივაღწიეთ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას და სრულ გარანტიას ინტერვენციისაგან და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან. ეს „იდეები" წარმოადგენენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების პირდაპირ ფალსიფიკაციას, პირდაპირ გადახვევას მარქსისტულ - ლენინური თეორიის საფუძვლებიდან. ამგვარი მტკიცებანი მოწმობენ გარემომცველი სინამდვილის სრულ გაუგებლობას და წარმოადგენენ თავგასული ჩინოვნიკების ფუჭ ბაქიობას, ასეთი „იდეები" უაღრესად მავნეა, მტრულია სოციალიზმისათვის და მათ შეუძლიათ მხოლოდ ჩვენი დემობილიზება კაპიტალისტური გარემოცვის საფრთხის წინაშე. პასუხში კომკავშირელ ამხ. ივანოვისადმი ამხანაგი სტალინი სწერდა:

„სამხედრო ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდების საფრთხის უარყოფა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის დროს შეუძლიათ მხოლოდ უთაურებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ ბაქიობით დაჰფარონ თავისი მტრობა და რომელნიც ცდილობენ ხალხის დემობილიზებას. მაგრამ შეიძლება თუ არა საბოლოოდ მივიჩნიოთ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, თუ ეს ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება და თუ იგი სავსებით არ არის გარანტირებული ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხისაგან? ცხადია, რომ არ შეიძლება".

ანალიზს უკეთებდა რა თავის დროზე საკითხს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სისტემათა ძირითად წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, ლენინი ლაპარაკობდა ორ სამყაროს შორის მომავალი შეჯახების გარდუვალობაზე.

„...ჩვენ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით, მთავრობებით, რომელნიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი თავდასხმისაგან ჩვენ მუდამ ბეწვზე ვკიდივართ" (ტ. XXVII, გვ. 117).

ჩვენი წარმატებანი — სოციალიზმის ქვეყნის ყოველი შემდგომი წინსვლა სულ უფროდაუფრო აბოროტებს ჩვენს მტრებს, აძლიერებს მათს სიძულვილს სსრ კავშირისადმი. ბურჟუაზიას მშვენივრად ესმის, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება — ეს მთელს მსოფლიოში კაპიტალიზმის დასასრულის დასაწყისია. კაპიტალისტური სახელმწიფოები, ხოლო პირველ რიგში ფაშისტი აგრესორები, გაძლიერებით ამზადებენ ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ, ოცნებობენ ინტერვენციაზე ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ძალდატანებით აღ-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

შრომის სოციალისტური დისციპლინისათვის

ზესტაფონი, 25 იანვარი (საქდესი). ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას შრომის დისციპლინის მოწესრიგების შესახებ.

ქარხნის ადმინისტრაციამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. გამცდენებსა და წარმოების დეზორგანიზატორებს დაუყოვნებლივ ხსნიან სამუშაოდან.

ა. მოდებაძემ თვითნებურად დასტოვა სამუშაო და 5 დღის განმავლობაში არ გამოცხადებულა ქარხანაში. პ. ვერბოვმა 10 სამუშაო დღე გააცდინა, ქ. ქიქნაძემ 15 წუთით დაიგვიანა სამუშაოზე, რისთვისაც საყვედური გამოუცხადეს. ამის შემდეგ, 18 იანვარს, იგი ნებადაურთველად წავიდა საამქროდან 1 საათით. წარმოების მთელი ეს დეზორგანიზატორები მოხსნილნი არიან სამუშაოდან.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ 1938 წლის 28 დეკემბერს შრომის დისციპლინის მოწესრიგების შესახებ მიღებული დადგენილების დანაშაულებრივი დარღვევისათვის პროკურატურის ორგანოებმა, სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში და სამართალში მისცეს თანამდებობის მთელი რიგი პირები.

ტრესტ „კუიბიშევქვანახშირის" № 8 შახტის გამგის მოადგილემ და მთავარმა ინჟინერმა **ბერეჟნოიმ** წერილობითი განკარგულება მისცა ბოროტ გამცდენთა სამუშაოზე დაშვების შესახებ. ამავე შახტის უბნის უფროსი **ჩუმაკოვი** აგრეთვე ხელს აფარებდა გამცდენებს. სტალინის საოლქო სასამართლომ, განიხილა რა ა. წ. 19 იანვარს საქმე **ბერეჟნოისა** და **ჩუმაკოვის** ბრალდებისა გამო, მიუსაჯა: **ბერეჟნოის** — თავისუფლების აღკვეთა 8 თვით და **ჩუმაკოვს**—6 თვით.

მოსკოვის მე-2 სატროლეიბუსო პარკის დირექტორმა **კრუცკომ** და მოძრაობის დარგის ექსპლოატაციის უფროსმა **დიუჟინმა** არ მიიღეს ზომები გამცდენთა დათხოვნისათვის. ა.-წ. 20 იანვარს ქ. მოსკოვის ბაუმანის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა საქმე **კრუცკოსა** და **დიუჟინის** ბრალდებისა გამო და მიუსაჯა: **კრუცკოს** — თავისუფლების აღკვეთა 3 თვით და **დიუჟინს**—6 თვით.

ა.-წ. 21 იანვარს ლენინგრადში განხილულ იქნა მე-24 ლიტოგრაფიის დირექტორის **ჟელდინის** და საამქროს უფროსის **ლებედევის** საქმე, რომლებსაც ბრალდებოდათ გამცდენთა უკანონოდ დატოვება სამუშაოზე. **ჟელდინს** მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 თვით, **ლებედევს**—6 თვით.

ამას გარდა, უკანასკნელ ხანს მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, ტულასა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილების ბოროტად დარღვევისათვის სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ფეხსაცმლის ფაბრიკა „ზარია სვობოდის" მთავარ მექანიკოს **კოზლოვს**, ტულის აგურის ქარხნის დირექტორს **იაკუშინს**, კიროვის ქარხნის სათბობის განყოფილების გამგეს **ვოლკოვს** და მის მოადგილეს **კუზნეცოვს**, კიროვის ქარხნის საგლინავ საამქროს უფროსს **ისაევს** და სხვებს. (საქდესი).

„ორჯონიკიძეუგოლის" დელეგაცია ტყიბულში

ტყიბული (საკ. კორესპონდენტისაგან). დღეს, 25 იანვარს, ტყიბულის მაღაროელებს ესტუმრა დონბასის ორჯონიკიძის სახელობის ქვანახშირის ტრესტის („ორჯონიკიძეუგოლის") 10 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია.

სტახანოვური მოძრაობის სამშობლოდან ჩამოსული დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ორჯონიკიძის სახელობის ქვანახშირის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენელი **ქ. კუზნეცოვი** (დელეგაციის ხელმძღვანელი), უკრაინის კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის ქალაქკომის ინსტრუქტორი **ნ. სარიცი**, ორჯონიკიძის სახელობის ქვანახშირის ტრესტის კარლ მარქსის სახელობის შახტის სტახანოველი მნგრეველი **პ. ზელეიკო**, მაღაროებში მუშაობის 33 წლის სტაჟის მქონე სტახანოველი მებიგე **პ. სვეტაილო**, წითელი ოქტომბრის სახელობის № 1-2 შახტის ელმავალზე მომუშავე სტახანოველი ქალი **მ. მასლოვა**, 26 კომუნარის სახელობის შახტის სტახანოველი მებიგე **ვ. ბანზარენკო**, წითელი ოქტომბრის სახელობის № 4 შახტის მოწინავე უბნის უფროსი ინჟინერი **ლ. მარკოზია**, ამავე შახტის გამგე **პ. სავენკო**.

უკრაინიდან ჩამოსულ დელეგაციას თან ახლავს ორჯონიკიძის საქალაქო გაზეთის „კომუნიზმის დროშის" თანამშრომელი გრ. უკრაინსკი და უკრაინის რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის" პასუხისმგებელი მუშაკი მ. ბრასლავსკი.

საბჭოთა უკრაინის დელეგაციას ტყიბულის რკინიგზის სადგურზე შეხვდა და გულთბილად მიესალმა ტყიბულქვანახშირტრესტის მმართველი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ინჟინერი დ. ჩიკვაიძე, ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს მმართველი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრ. გორგიძე, ლენინის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი ფ. ნაჭყებია, პარტკომის მდივანი რ. გორგიძე, სტალინის სახელობის მაღაროს უფროსი აკ. კუბლაშვილი, ამავე მაღაროს პარტკომის მდივანი შ. ლაფერაძე, სტახანოველი მუშები ალ. დარსაძე, ფ. მირზოევი და რაიონის პასუხისმგებელი ამხანაგები.

დელეგაციის მიზანს შეადგენს ტყიბულქვანახშირისა და ორჯონიკიძის ტრესტებს შორის სოცშეჯიბრების შემოწმება 1938 წლის მაჩვენებლების მიხედვით და 1939 წელში ახალი სოცშეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმება.

დელეგაცია დეტალურად გაეცნობა ტყიბულის მაღაროების მუშათა გამოცდილებას.

დ. საგელაშვილი

თელავი. აღწერა. კოლმეურნე იოსებ არუთინოვის ოჯახში.
სურათზე: აღმწერი მ. საქუაშვილი ავსებს სააღწერო ფურცელს.
ფოტო ი. ტორისა

ორი რესპუბლიკის მაღაროელთა შეჯიბრება

აკარმარა (საკ. კორ.). ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროს პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები მაღაროელთა შორის ატარებენ ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას უკრაინისა და საქართველოს მაღაროელთა შეჯიბრების გარშემო. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ მუშაობას ატარებენ პარტიული აგიტატორები, რომლებიც ატარებენ საუბრებს ცალკე ბრიგადებში და მუშათა ბინებში.

„ვოროშილოვგრადუგოლის" კიროვის სახელობის № 22-6 და სერგოვსკის რაიონის № 77 შახტების სტახანოველების, მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკებისა და მოსამსახურეების წერილი ტყვარჩელის მაღაროელთა მიმართ, აგრეთვე ალექსი სტახანოვის წერილი საქართველოს მაღაროელებისადმი დამუშავებულია ფართოდ და მათ იცნობს თვითეული მემაღაროე. სააგიტაციო მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მის სისუსტეზე მიუთითა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავის დადგენილებაში დეკემბრის ბოლოს. აღნიშნული წერილების უფრო ფართოდ გაცნობის მიზნით დამატებით მოეწყო მაღაროელთა შეკრებები და გაძლიერდა აგიტატორთა მუშაობა. აგიტატორთა შორის განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ქ. დობეჟა, გ. კალატუზინი, ზაბალუევი, ქ. ხარაზია, ბ. პეტრიშევი და ა. პაშკოვი.

ახლა მიმდინარეობს მუშაობა 1938 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისათვის. ამ საქმეზე გამოყოფილი და გაპიროვნებული არიან უბნის გამგეები, პარტორგები, პროფორგები და მთელი პარტიული აქტივი. მაღარკომმა (თავმჯდომარე—ამხ. გ. მელაძე) გვიან დაიწყო ეს მუშაობა. ასევე მოუქნელად მუშაობს ის ახალ ხელშეკრულებათა გასაფორმებლად.

გაზეთმა „კომუნისტმა" დროზე მიუთითა, რომ ტყვარჩელში შეფერხებულია მაღაროელთა გაზეთის „ზა ტყვარჩელსკი უგოლის" გამოსვლა. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოგვარებული. შვიდი ნოემბრის შემდეგ მხოლოდ 13 იანვარს გამოვიდა გაზეთის ერთი ნომერი და ამის შემდეგ გაზეთის გამოშვება კვლავ შეჩერდა. საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ, აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომმა და მაღაროს პარტკომმა ვერ შესძლეს გაზეთის რედაქციის განმტკიცება სათანადო კადრებით.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა მიუთითა, რომ საჭიროა მაღაროელთა გაზეთში მოეწყოს სტახანოველთა დაფა და საერთოდ გაზეთმა აქტიურად გაშალოს ბრძოლა უკრაინელ მაღაროელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის, მაგრამ ეს მითითება მაინც არ სრულდება.

ვ. მერკვილაძე

„გამოცდილების ურთიერთ გაზიარება დაგვეხმარება ჩვენ უკეთესად ვიმუშაოთ"

20 იანვრიდან ჩვენი დელეგაცია იმყოფება ტყიბულში და ეცნობა ორდენოსანი საქართველოს მაღაროელთა მუშაობის გამოცდილებას. ჩვენ ვინახულეთ ლენინის სახელობის მაღარო, გავეცანით და დავუმეგობრდით მის მოწინავე ადამიანებს.

როცა ჩვენს მშობლიურ შახტებს დავუბრუნდებით, ჩვენ ვუამბობთ ამხანაგებს ჩვენი ახალი მეგობრების შესახებ.

ჩვენ ყველას, დიადი საბჭოთა კავშირის მაღაროელებს, გვაერთიანებს ერთიანი მიზანი — ვიბრძოლოთ ქვანახშირისათვის, ქვანახშირის ამოღების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

ლენინის სახელობის მაღარომ და მისმა მებრძოლმა კოლექტივმა ჩვენზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ დავათვალიერეთ ყველა სანგრევი, ლავა და შტრეკი. მაღარო კარგად არის მოწესრიგებული და შენახული. მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე მეგობრული შენიშვნა შემოვიტანო იმის შესახებ, რაც აქ ვნახე. მე მგონია, რომ მაღაროს მექანიზმები მთლად დატვირთული არ არის, ისინი ხშირად უქმად დგანან. საჭიროა აუცილებლად მიღწეულ იქნას, რომ ყველა მექანიზმი უგამონაკლისოდ სრული დატვირთვით მუშაობდეს. არადამაკმაყოფილებელია ნიჩბების კონსტრუქცია. ისინი ღრმანი არ არიან და ცოტა ნახშირს იღებენ. ამის გამო ერთი და იმავე რაოდენობის მუშა დღეში ტვირთავს აქ 30-მდე ტონა ქვანახშირს, ხოლო ჩვენს მაღაროებში — 50-ზე მეტ ტონას.

გამოცდილების გაზიარება დაგვეხმარება ჩვენ უკეთესად ვიმუშაოთ. ამის თავდებია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა დღეს „ვოროშილოვნახშირის" ტრესტის № 9 მაღაროს და „ტყიბულქვანახშირის" ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს მაღაროელთა შორის.

ი. ილიაშენკო

„ვოროშილოვნახშირის" ტრესტის № 9 მაღაროს მმართველი.

1939 წლის 24 იანვარი. ტყიბული. (საქდესი)

ჩემი ვალდებულებანი

25 წელია, რაც მე მაღაროში ვმუშაობ და ყოველდღიურად ვამდიდრებ ჩემს ცოდნას. ვმუშაობ სტახანოვური მეთოდებით. 1938 წელს გეგმა 179,5 პროცენტით შევასრულე. წარმატებით დავიწყე მუშაობა 1939 წელსაც: სტახანოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მე ვალდებულება ვიკისრე შემესრულებინა თვიური დავალება 7 იანვრისათვის; ეს ვალდებულება მე უკვე შევასრულე.

დონბასელებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად ვკისრულობ ახალ ვალდებულებას — შევასრულო თვიური დავალება 250 პროცენტით. ვეცდები პირნათლად განვახორციელო ეს ვალდებულება. ჩვენი მაღაროს ყველა მაღაროელთან ერთად მე ვიბრძოლებ იმისათვის, რათა ლენინის სახელობის მაღარო საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მოწინავე მაღაროთა რიცხვში ჩადგეს.

ალ. დარსაძე

„ტყიბულქვანახშირის" ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მნგრეველი.

1939 წლის 24 იანვარი. ტყიბული.

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა

24 იანვარს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან დაიწყო ცნობების მოსვლა იმის შესახებ, რომ ქალაქებში დამთავრდა მოსახლეობის აღწერა და დაიწყო საკონტროლო ჩამოვლა. ჩამოვლას ეწევიან კონტროლიორ-ინსტრუქტორები აღმწერებთან ერთად. ერთნიც და მეორენიც სამუშაოზე ყველგან ასი პროცენტით გამოდიან.

23 იანვარს ქალაქებში სააღწერო განყოფილებებთან შესდგა ინსტრუქტორთა თათბირები, ხოლო ზოგიერთ ოლქში (ნოვოსიბირსკისა და სხვ.) — კონტროლიორ-ინსტრუქტორთა საერთო-საქალაქო თათბირები. ომსკში, ნოვოსიბირსკში, ბარნაულში, ირკუტსკსა და სხვა ქალაქებში მოწვეულ თათბირებზე განხილული იყო აღმწერთა შეცდომები, რომლებიც გამოსწორებულ უნდა იქნას საკონტროლო ჩამოვლის დროს.

არ გამოგვრჩეს არცერთი კაცი

(საუბარი სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსთან ამხ. ი. ვ. საუტინთან)

ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, ტრანსპორტზე და ძნელად მისასვლელ რაიონებში აღწერის შედეგების შესახებ მოსული ცნობები, აგრეთვე სასოფლო ადგილებში 8 დღის აღწერის ცნობები ჰმოწმობენ, რომ აღწერა ყველგან ორგანიზებულად მიმდინარეობს.

მიუხედავად ამისა, ცალკეულ აღმწერთა მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოსწორებულ უნდა იქნას საკონტროლო ჩამოვლის დროს, ხოლო სასოფლო ადგილებში —აღწერის დარჩენილ დღეებშიც.

ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა, რომლებსაც აღწერის დროს კონტროლი უნდა გაეწიათ აღმწერთა მუშაობისათვის და გზადაგზა გამოესწორებინათ მათ მიერ დაშვებული შეცდომები, ახლა აღმწერებთან ერთად (ხოლო სასოფლო ადგილებში აგრეთვე სასოფლო საბჭოების რწმუნებულებთან ერთად) უნდა ჩამოუარონ სააღწერო უბნების უკლებლივ ყველა სადგომს.

მათ უნდა შეამოწმონ, თუ როგორ გაიარა აღწერა თვითეულმა ოჯახმა, თვითეულმა მარტოხელა ადამიანმა, იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც 16 იანვრის შემდეგ ჩამოვიდნენ. ყველა პირი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო გამორჩათ აღმწერებს, შეტანილ უნდა იქნას სააღწერო ფურცლებში, ხოლო იმ პირებზე, რომლებიც აღწერილ უნდა იქნან სხვა ადგილას, მაგრამ, რომლებსაც არ აქვთ ცნობები აღწერის გავლის შესახებ, უნდა შეადგინონ საკონტროლო ბლანკი.

სასოფლო ადგილებში აღწერის დამთავრებამდე კიდევ 2 დღე დარჩა. აღმწერებმა და კონტროლიორ-ინსტრუქტორებმა არ უნდა დაუცადონ საკონტროლო ჩამოვლას და თვითონ უნდა გამოასწორონ ყველა დაშვებული შეცდომა, მიაღწიონ იმას, რომ აღწერილ იქნას უკლებლივ ყველა მოქალაქე და რომ ყველა სააღწერო ფურცელი და საკონტროლო ბლანკები შედგენილ იქნას სწორად, ინსტრუქციის მტკიცე შესაბამისად.

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა სანიმუშოდ უნდა ჩატარდეს. ჩვენ პარტიასა და მთავრობას უნდა მივცეთ ზუსტი, შემოწმებული ცნობები მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ.

საკონტროლო შემოვლის პირველი დღე თბილისში

თბილისის ყველა რაიონში მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ ვადაში 23 იანვარს დამთავრდა აღწერა. 24 იანვარს დილით დაიწყო საკონტროლო შემოვლა. შემოვლის პირველმა დღემ აღმწერთა კარგი მუშაობის ნიმუშები გვიჩვენა. ზოგიერთ სააღწერო უბნებში აღმოჩნდა თითო-ოროლა აუწერავი მოქალაქე. ესენი იყვნენ უმთავრესად დროებით მცხოვრებნი და დროებით წასულნი.

პირველ დღეს გამომჟღავნდა, რომ ზოგიერთ აღმწერს ჰქონდა ტენდენცია, რათა მის სააღწერო უბანში გამორჩენილ მოქალაქეთა რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობა გამოეჩინა. ისინი ფიქრობდნენ, რომ აუწერავ მოქალაქეთა აღმოჩენით მათი მუშაობა ცუდად შეფასდებოდა. აღმწერთა ასეთი მავნე შეხედულება ძირშივე უნდა აღიკვეთოს. უნდა შევიგნოთ, რომ საკონტროლო შემოვლა მოსახლეობის აღწერის დასკვნითი ეტაპია და ყოველი აღმწერის, ყოველი მოქალაქის ყურადღება მივმართოთ იქითკენ, რათა არ დაგვრჩეს არცერთი აუწერავი ადამიანი, არცერთი არასწორი ჩანაწერი სააღწერო ფურცელში.

ზოგიერთ რაიონში ჰგონიათ, თითქოს აღწერის დამთავრების შემდეგ სატრანსპორტო საშუალებანი საჭირო არ იყოს. 23 იანვრის შემდეგ სცადეს აღწერის მუშაკებისათვის ჩამოერთმიათ ისინი. ამას უმთავრესად ადგილი აქვს სტალინის, 26 კომისრის და კიროვის რაიონებში. მთავრობის დადგენილებით აღწერა დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საკონტროლო შემოვლა მთლიანად დამთავრდება. მაშასადამე, ინსტრუქტორ-კონტროლიორებს ბოლომდე უნდა შეუნარჩუნოთ სატრანსპორტო საშუალებანი, რათა ისინი მჭიდროდ დაუკავშიროთ საინსტრუქტორო უბნებს, რომ მათ მაღალხარისხოვნად შეამოწმონ აღმწერთა ნამუშევარი.

ლენინისა და სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ

(დასასრული)

დგენის მიზნით. ცხადია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ სრულ საბრძოლო მობილიზაციურ მზადყოფნაში კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე— ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი საბჭოთა დაზვერვა, ულმობელად შევიპყროთ და მოვსპოთ დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები, ფაშიზმის აგენტები, რომლებიც ცდილობენ ზურგიდან ჩასცენ მახვილი სოციალიზმის ქვეყანას.

მაგრამ კაპიტალისტური გარემოცვის სრული მოსპობა, ინტერვენციის ყოველგვარი საფრთხის სავსებით აღმოფხვრა — მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნას „მხოლოდ იმ გზით, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის სერიოზული ღონისძიებანი შეერთებულ იქნას მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის კიდევ უფრო სერიოზულ ღონისძიებებთან" (სტალინი).

4. სსრ კავშირი საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ბაზაა

სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია შეიცავს, როგორც თავის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის შეფასებას, როგორც გამოსავალი პუნქტისას, როგორც ბიძგისას, როგორც ბაზისას **სხვა ქვეყნებში** სოციალისტური რევოლუციის განვითარებისათვის. სოციალიზმის ქვეყნის ძალა და ძლიერება მდგომარეობს, **სხვათა შორის**, იმაშიაც, რომ იგი სარგებლობს მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების ღრმა თანაგრძნობითა და ურღვევი მხარდაჭერით. სხვანაირად არც შეიძლება, ვინაიდან სსრ კავშირი წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციის ძლიერ ციხე-სიმაგრეს, მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის მძლავრ დასაყრდენს, კოლონიურ ხალხთა რევოლუციური მოძრაობის დასაყრდენს მათ დამმონებელთა წინააღმდეგ.

პარტია არასოდეს არ განიხილავდა ჩვენს რევოლუციას, როგორც თვითმიზანს. ჩვენს ქვეყანაში რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვებას პარტია ყოველთვის განიხილავდა და განიხილავს, როგორც მთელ მსოფლიოში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების, სტიმულირების აუცილებელ და მძლავრ საშუალებას, როგორც კაპიტალიზმზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვების გაადვილების საშუალებას. სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი" ამხანაგი სტალინი 1927 წელს სწერდა:

„არყევდა რა იმპერიალიზმს, ოქტომბრის რევოლუციამ ამასთან ერთად შექმნა პირველი პროლეტარული დიქტატურის სახით მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მძლავრი და აშკარა **ბაზა**, რომელიც მას **არასოდეს არ ჰქონია** წინათ და რომელზედაც მას ახლა შეუძლია დაყრდნობა.

მან შექმნა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ის მძლავრი და აშკარა **ცენტრი**, რომელიც მას **არასოდეს არ ჰქონია** წინათ და რომლის ირგვლივ მას შეუძლია ახლა შემჭიდროვდეს, მოაწყოს **ყველა ქვეყნის პროლეტართა და ჩაგრულ ხალხთა ერთიანი რევოლუციური ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ**".

ასე სწერდა ამხანაგი სტალინი 1927 წელს. ამ ხნის განმავლობაში განუზომლად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის ძალები. პირველი და მეორე ხუთწლედების შესრულებამ, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინური პროგრამის შესრულებამ და სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ არაჩვეულებრივად განამტკიცეს სსრ კავშირი როგორც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზა, როგორც სოციალიზმის აკვანი და ციხე-სიმაგრე, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლო.

სსრ კავშირის მუშათა კლასმა და ყველა მშრომელებმა იციან, რომ სოციალიზმის გამარჯვებას მათ მიაღწიეს არა მარტო თავისი ძალღონით, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის მხარდაჭერითაც. სსრ კავშირი მსოფლიო პროლეტარიატის პირმშოა. სსრ კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა კაპიტალისტური ქვეყნების მუშებთან, სსრ კავშირის მშრომელთა ძმური კავშირი მთელი მსოფლიოს მშრომელებთან საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ერთერთი პირობაა. ომი, რომლის წარმოებაც მოუხდება საბჭოთა ხალხს ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავს დაესხმიან სსრ კავშირს, უაღრესად სამართლიანი ომი იქნება, და ის გამოიწვევს უაღრესად ცხოველ თანაგრძნობას ჩვენდამი მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა რევოლუციურ სოლიდარობას.

ფაშისტმა აგრესორებმა უნდა იცოდნენ — საბჭოთა კავშირი, რომელიც აწარმოებს ყველაზე თანმიმდევრულ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, სრულებითაც არ დასჯერდება თავისი საზღვრების მხოლოდ დაცვას. სწორედ თავდაცვის ინტერესები მოითხოვენ სსრ კავშირისაგან — აწარმოოს ფართო შეტევითი ოპერაციები მტრების ტერიტორიაზე, და ეს ოდნავაც არ ეწინააღმდეგება თავდაცვითი ომის ხასიათს. ჯერ კიდევ 1915 წელს სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ" ლენინი სწერდა:

„ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, მოახდენდა რა კაპიტალისტების ექსპროპრიაციას და მოაწყობდა რა თავისთან სოციალისტურ წარმოებას, აღდგებოდა დანარჩენი, კაპიტალისტური სამყაროს **წინააღმდეგ**, მიიზიდავდა თავისკენ სხვა ქვეყნების ჩაგრულ მასებს, მოაწყობდა მათში აჯანყებას კაპიტალისტების წინააღმდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლუატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ".

მომავალ ომში სსრ კავშირსა და ფაშისტ დამპყრობელებს შორის საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, დაეყრდნობა რა სოციალიზმის ყველა მონაპოვართ, წითელი არმიის სიმძლავრეს, გააკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რათა დაეხმაროს სხვა ქვეყნების მუშათა კლასს მოიშოროს კაპიტალიზმის უღელი, გაუსწორდნენ თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას. და მაშინ, როგორც ამბობდა ამხანაგი სტალინი, ჩვენ ნუღარ გვისაყვედურებს ბურჟუაზია, თუ ასეთი ომის შედეგად მას სათვალავში დააკლდება ზოგიერთი თავისი მთავრობა.

o

ასეთია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა გენიალური ლენინური მოძღვრებისა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ეს მოძღვრება ტროცკისტული და ბუხარინული სიბილწის წინააღმდეგ ბრძოლაში, აიყვანა ეს მოძღვრება ახალ უმაღლეს საფეხურზე, განახორციელა ის. სრული უფლებით ვლაპარაკობთ ჩვენ ახლა **სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინურ თეორიაზე**. ამხანაგ სტალინის ნაშრომების გარეშე არ შეიძლება ჩავწვდეთ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინური თეორიის ღრმა აზრს. უდიდესი თეორიული მასალა და პრაქტიკული რევოლუციური გამოცდილების სიმდიდრე, გენიალურად განზოგადებულნი და განვითარებულნი ამხანაგ სტალინის შრომებში, წარმოადგენენ ჩვენთვის გზისმანათობელ ვარსკვლავს ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის კომუნიზმის გზით.

„პრავდა", 19 იანვარი, 1939 წ. № 19.

გამოფენის კანდიდატები ქობულეთის რაიონიდან

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად ქობულეთის რაიონიდან ჯერჯერობით შერჩეულია 4 საბჭოთა მეურნეობა, 19 კოლმეურნეობა, 52 საკოლმეურნეო ბრიგადა და 39 მოწინავე ადამიანი — ჩაისა და ციტრუსების საუკეთესო ოსტატები.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, საკოლმეურნეო ბრიგადებმა და ცალკეულმა კოლმეურნეებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, სტახანოვური შრომის მეთოდის ღრმად დანერგვით ყველა სახის სამუშაოების შესრულებაში 1938 წელს თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. შარშან ქობულეთის რაიონმა სოციალისტურ სახელმწიფოს ჩააბარა 7.006.900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.681.000 კილოგრამისა).

რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, საკოლმეურნეო ბრიგადებმა და ცალკეულმა კოლმეურნეებმა, რომლებიც შერჩეული არიან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, საგრძნობლად გაადიდეს ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია გამოფენის პირობებით. სოფ. აჭყვის (ჩაქვის სოფლსაბჭო) კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა" (თავმჯდომარე — ამხ. ხ. მერიციდი) ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1938 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა — გეგმით გათვალისწინებული 362.000 კილოგრამის ნაცვლად მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 370.346 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 5.005 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 2.000 კილოგრამისა. 1936 წელს კი მიიღო 3.172 კილოგრამი, ხოლო 1937 წელს — 4.493.

ამ კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე 1938 წლის ციტრუსოვანთა მოსავლის ჩაბარების გეგმა. ამხ. ი. ორახოვის ბრიგადამ სრულმოსავლიან ციტრუსთა თვითეული ხიდან საშუალოდ 2.700 ცალი ლიმონის და 3.000 ცალი მანდარინის ნაყოფი მიიღო. საუცხოო მაჩვენებლებს მიაღწია აგრეთვე ამხ. ხ. მერიციდის ბრიგადამ. 1938 წელს მერიციდის ბრიგადამ მასზე მიმაგრებული ჩაის პლანტაციებიდან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 6.055 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ზოგიერთ ნაკვეთიდან 7.000 კილოგრამი.

საუკეთესო მაჩვენებლებით წარსდგება გამოფენაზე სოფ. ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ამხ. გ. ჩხარტიშვილი). 1936 წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 2796 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 1937 წელს — 4.128, ხოლო 1938 წელს — 4.743 კილოგრამი. ამ კოლმეურნეობის პირველმა ბრიგადამ, რომელსაც ჩაის საუკეთესო ოსტატი ამხ. დ. კიპსელიძე ხელმძღვანელობს, წარსულ წლებთან შედარებით სამაგალითო მაჩვენებლებს მიაღწია ჩაის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდების საქმეში. 1938 წელს ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ მოჰკრიფა 5.400 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამ წარმატებებს ბრიგადამ მიაღწია სოცშეჯიბრების გაშლით, სტახანოვური მოძრაობის ფართოდ დანერგვით და მასზე მიმაგრებული ჩაის პლანტაციების სამაგალითოდ მოვლა-პატრონობით. კარგი მაჩვენებლები აქვს ამხ. ვ. ჩხაბერიძის ბრიგადას, რომელმაც 1938 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 4.932 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის სტახანოველი ბრიგადირია ამხ. ახმედ მახარაძე. მას კარგად იცნობენ რაიონში, როგორც ჩაის საუკეთესო ოსტატს. მახარაძის ბრიგადა წაყენებულია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად. ბრიგადამ ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა 1938 წელს 4.332 კილოგრამამდე აიყვანა, ხოლო ზოგიერთი ნაკვეთიდან მოჰკრიფა 7.322 კილოგრამზე მეტი.

ბრიგადირი ა. მახარაძე თვალისჩინივით უვლის ჩაის თვითეულ ბუჩქს, რადგან მან იცის, რომ ჩაი კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების დაუშრეტელი წყაროა. 14 მკრეფავი მუშაობს ა. მახარაძის ბრიგადაში, მათგან ყველა სტახანოველია. გული ჭინჭარაძე, თუნთულ მახარაძე, ზექიე გორგაძე და სხვ. 1938 წლის ჩაის კრეფის სეზონში შესანიშნავ რეკორდებს ამყარებდნენ, ყოველდღიურად საშუალოდ ჰკრეფდნენ 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. გული ჭინჭარაძემ 1 დღის განმავლობაში მოჰკრიფა 204 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ჩაის ფოთოლი, რითაც დღიური დავალება 1.133,3 პროცენტით შეასრულა.

საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობების შემოსავალი. 1938 წელს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" მარტო ფულადი შემოსავალი 1.433.193 მანეთს უდრიდა. კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გასული წლის შემოსავლიდან თვითეული კოლმეურნე 1 შრომადღეზე მიიღებს მარტო ფულად 16 მანეთს, აგრეთვე დიდი რაოდენობით ბრინჯს, სიმინდს. კოლმეურნეთა შემოსავლიანობის განუწყვეტელი ზრდა უეჭველი და სასიხარულო ფაქტია.

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობები უკვე იხილავენ საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობათა მიმართვას, რომელიც „კომუნისტის" 16 იანვრის ნომერში დაიბეჭდა და იბმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

თოფუზ გაბაიძე

ტრაქტორების რემონტის გეგმები შესრულებულია

სიღნაღი, (საკ. კორ.). ულიანოვკის მტს-მა 15 დღით ადრე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი. კაპიტალურად შეკეთდა 16 ტრაქტორი, მიმდინარედ 25. რემონტზე მუშაობდა 7 ბრიგადა.

რემონტზე მუყაითი მუშაობით თავი ისახელეს სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა გურაშვილმა და ბერულაშვილმა. რემონტის გეგმა მათ ვადაზე ადრე შეასრულეს და დახმარება აღმოუჩინეს ჩამორჩენილ ბრიგადებს.

ლ. ისაკოვი

o

ლაგოდეხი, ტრაქტორების საზამთრო რემონტის გეგმა შესრულებულია მთლიანად. შეკეთებულია 62 ტრაქტორი.

რაიაღმასკომი—**ლობჟანიძე**

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კონფერენცია

პარიზი, 24 იანვარი (საკდესი). 23 იანვარს გრძელდებოდა საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციის სხდომები.

დილის სხდომაზე 13 იანვარს მოსმენილ იქნა დასავლეთ-პარიზის რაიონისა და ქვედა პირენეების პარტიული ორგანიზაციის დელეგატების გამოსვლები. ამავე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მარსელ აიტონის მოხსენება ორგანიზაციულ საკითხებზე. შემდეგ გამოვიდა კორსიკის დელეგატი, რომელიც შეჩერდა კუნძულის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორსიკის მთელი მოსახლეობა ერთსულოვნად გამოდის იტალიური ფაშიზმის პრეტენზიების წინააღმდეგ.

შემდეგ აგრარულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა როშე, რომელმაც გააშუქა სოფლად პარტიის მოღვაწეობა, მიმართული ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების კავშირის გაძლიერებისა და განმტკიცებისაკენ და განსაკუთრებით კი იმისაკენ, რომ განმტკიცებულ იქნას მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, ხელოსნებთან და სხვ. ამის შემდეგ კონფერენციის დილის სხდომა დაიხურა.

კონფერენციის მუშაობა განახლდა დაახლოებით 15 საათზე ლოზერეს გამოსვლით კოლონიურ საკითხზე. მომხსენებელმა დაახასიათა პარტიის პოლიტიკა კოლონიურ საკითხში და განაცხადა, რომ საფრანგეთის არავითარი კოლონია არ შეიძლება მიეცეს ჰიტლერსა და მუსოლინის. დასასრულ ლოზერემ წამოაყენა მოთხოვნა საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ნიცის კომუნისტური ორგანიზაციის დელეგატმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამ რაიონის მოსახლეობა გადაჭრით აცხადებს პროტესტს მათზე ფაშისტური იტალიის ულლის დადგმის ცდების წინააღმდეგ.

○

პარიზი, 24 იანვარი (საკდესი). კონფერენციის საღამოს სხდომაზე 23 იანვარს სიტყვით გამოვიდა გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქტორი ჟორჟ კონიო, რომელმაც აღნიშნა, რომ უახლოეს დროში საფრანგეთში გამოდის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. კონიო შეჩერდა ამ წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე საფრანგეთის პროლეტარებისათვის და აღნიშნა, რომ ეს წიგნი არის მარქსისტულ-ლენინური თეორიის განხორციელება.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა მონმუსომ გამოაქვეყნა შემდეგი რეზოლუცია:

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ნაციონალური კონფერენცია თავის სოლიდარობას უცხადებს ყველა იმ მუშებს, რომლებმაც განიცადეს რეპრესიები მეწარმეთა და მთავრობის მხრივ 1938 წლის 30 ნოემბრის გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის. კომპარტია წინანდებურად ეცდება მიაღწიოს სრულ ამნისტიას ამ მუშებისათვის და რწმუნებას აძლევს საპარლამენტო კომუნისტურ ჯგუფს განაგრძოს თავისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით“.

კონფერენციამ რეზოლუცია ერთხმად მიიღო.

კონფერენციამ თავისი მუშაობა დაამთავრა საფრანგეთის ხალხისადმი მოწოდების მიღებით.

მდგომარეობა ბარსელონაში

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტი ასწერს ბარსელონის მოსახლეობის გადაწყვეტილებას წინააღმდეგობა გაუწიოს შემოსევებისა და ინტერვენტების შეტევას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ კატალონელთა აქტივობა და აღფრთოვანება მრავალმხრივ მოგვაგონებს ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწევის მტკიცე სურვილს, რაც მადრიდის მოსახლეობამ გამოიჩინა 1936 წლის შემოდგომაზე, როდესაც მტერი დედაქალაქის კარს მიადგა. ყველა ასაკის მოქალაქეები ეწევიან მუშაობას სიმაგრეების ასაგებად.

მე-4 სახალხო რევოლუციური არმიის ოპერაციები

ჩუნცინი, 24 იანვარი (საკდესი). გაზეთი „სინხუაჟიბაომ“ გამოაქვეყნა ცნობები მე-4 სახალხო რევოლუციური არმიის სამარი ოპერაციების შესახებ 1938 წელს. პირველ საბრძოლო მოქმედებათა მომენტიდან, 16 მაისიდან, 1938 წლის ბოლომდე მე-4 არმიამ ტინის სარდლობით გადაიხადა 134 ბრძოლა იაპონიის ჯარებთან ნანკინისა და უხუს რაიონებში და მდინარე იანძის ორივე ნაპირზე. ამ ხნის განმავლობაში ბრძოლებში მოკლულია 1132 იაპონელი ჯარისკაცი და დაჭრილია რამდენიმე ათასი. ამ არმიამ ხელთ იგდო 1400-ზე მეტი შაშხანა და დიდძალი სამხედრო საჭურველი.

იაპონიას სურს ტოკიოში მიიწვიოს ჩემბერლენი

ტოკიო, 24 იანვარი (საკდესი). „კოკუმინის“ გადმოცემით, იაპონიის დიპლომატიურ წრეებს, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სურთ ტოკიოში მიიწვიონ ჩემბერლენი, რათა დაიწყონ მოლაპარაკება შორეულ-აღმოსავლეთის საკითხში იაპონიის პოზიციის შესახებ.

უნგრეთი არის ბრძოლის ობიექტი გერმანიასა და იტალიას შორის

ამ დღეებში უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩაკი ბერლინს გაემგზავრა. გამგზავრების წინა დღეს ჩაკიმ განუცხადა იტალიის, გერმანიისა და იაპონიის ბუდაპეშტელ ელჩებს, რომ უნგრეთი მზადაა შეუერთდეს ეგრეთწოდებულ „ანტიკომინტერნულ პაქტს“. მალე ამ „პაქტს“ ხელს მოაწერს უნგრეთი.

რა უძღოდა წინ ხსენებულ „პაქტთან“ უნგრეთის შეერთებას და რატომ გადასდგა მან ეს ნაბიჯი?

იტალია მიუხედავად მთელი აურზაურისა „რომი-ბერლინის ღერძის“ „მთლიანობის“ შესახებ, — ერთერთი მთავარი მეტოქეა გერმანიისა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში გავლენისათვის ბრძოლაში (მათ შორის უნგრეთშიც). იტალიის გავლენა ავსტრიასა და უნგრეთში განმტკიცებული იყო ეგრეთწოდებული „რომის ოქმებით“, რომელთაც ხელი მოაწერეს 1934 წელს იტალიამ, ავსტრიამ და უნგრეთმა. ამ ქვეყნებმა მისცეს ერთმანეთს შეღავათები და უპირატესობანი ვაჭრობაში.

გერმანიის ფაშიზმის მიერ 1938 წ. მარტში ავსტრიის დაპყრობის შემდეგ „რომის ოქმებმა“ დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა ავსტრიის მიმართ.

უნგრეთში კი ჯერ კიდევ ძლიერნი იყვნენ ის ჯგუფები, რომელთაც ვეზი იტალიაზე ჰქონდათ აღებული. როცა მიუნხენში გადასწყდა საკითხი ჩეხოსლოვაკიის დანაწილების შესახებ, უნგრეთმა და პოლონეთმა მუსოლინის დახმარებით დასვეს საკითხი კარპატის უკრაინის ჩეხოსლოვაკიისაგან მოწყვეტის შესახებ, და ამითვე საერთო უნგრეთ-პოლონეთის საზღვრის შექმნის შესახებ. ამ მოთხოვნის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მუსოლინი, ხელს უწყობდა რა მიუნხენში ჰიტლერს სუდეტის ოლქის საკითხში, ამავე დროს ცდილობდა შეექმნა ბარიერი სამხრეთ-აღმოსავლეთში გერმანიის შემდგომი შეჭრის წინააღმდეგ. ამ ბარიერად მას მიაჩნდა კავშირი უნგრეთისა, პოლონეთისა და იუგოსლავიას შორის იტალიის ხელმძღვანელობით. ამ გეგმამ ვერ გაიმარჯვა გერმანიის მხრივ წინააღმდეგობის გაწევის გამო. ვენის „საარბიტრო კონფერენციის“ გადაწყვეტილებით, უნგრეთმა მიიღო კარპატის უკრაინისა და სლოვაკიის ტერიტორიის მხოლოდ ერთი ნაწილი და ვერ შესძლო დაეწესებინა საერთო საზღვარი პოლონეთთან.

როცა სუდეტის ოლქის დაპყრობა და „ახალი“ ჩეხოსლოვაკიის ფაშისტურ ყაიდაზე საშინაო გარდაქმნა ძირითადად დამთავრდა, გერმანიამ იწყო უნგრეთზე ზეგავლენის გაძლიერება. უნგრეთი მდებარეობს ჩეხოსლოვაკიაზე უფრო სამხრეთით და მას განსაზღვრული ადგილი ეთმობა გერმანული ფაშიზმის დაპყრობითს გეგმებში. პირველად გერმანული ფაშიზმი იმით კმაყოფილდება, რომ ზეგავლენას ახდენდა უნგრეთის მთავრობაზე შიგნიდან, რამაც გამოიწვია მთავრობის რეორგანიზაცია. მაშინვე სასწრაფოდ იყო მოწვეული „გერმანული უმცირესობის“ კონფერენცია, რომელზედაც შეიქმნა უნგრეთის „გერმანელთა კავშირი“ — უნგრეთის ჰენლაინელთა თავისებური პარტია.

გერმანიამ თანდათან გააფართოვა თავისი მოთხოვნები უნგრეთის მთლად ჩაბმამდე გერმანული ფაშიზმის სამხედრო გეგმებში და უნგრეთის რეჟიმის სრულ „რეორგანიზაციამდე“ გერმანული რეჟიმისადმი მისი შეგუების საფუძველზე. უნგრეთის მთავრობას ესმოდა, რომ გერმანიის მოთხოვნების შესრულება ბოლოსდაბოლოს მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას ნიშნავს.

რადგან უნგრეთის მთავრობა, იტალიის მუხრუჭის ზემოქმედების შედეგად, გერმანიისკენ ნელა და ჭრიალით იხრებოდა, გერმანელმა ფაშისტებმა აირჩიეს უნგრეთზე გავლენის სხვა ხერხი. იანვრის დამდეგიდან ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის საზღვარზე ხდება შეიარაღებული შეტაკებანი. ამავე დროს გერმანიის პრესამ კამპანია გააჩაღა უნგრეთის წინააღმდეგ.

ფაშისტური გერმანიის ზეგავლენამ აიძულა უნგრეთი დასთანხმებულიყო და შეერთებოდა „ანტიკომინტერნულ პაქტს“. უნგრეთი ებმება აგრესიულ სახელმწიფოთა ფრონტში. ბერლინს ჩაკის გამგზავრებას, ცხადია, მიზნად ჰქონდა შეთანხმება მიეღწია ფაშისტ აგრესორებთან უნგრეთის „თანამშრომლობის“ ფორმებსა და მეთოდებზე.

იუწყებიან, რომ მას შემდეგ, რაც გაფორმებულ იქნება უნგრეთის შეერთება „ანტიკომინტერნულ პაქტთან“, იგი გამოვა ერთა ლიგიდან.

შეიძლება მტკიცედ ვთქვათ, რომ ეს ნაბიჯი უნგრეთის მთავრობისა, რომელიც „ანტიკომინტერნულ პაქტს“ მიემხრო, სრულიადაც არ ხსნის დღის წესრიგიდან იტალია-გერმანიას შორის არსებულ წინააღმდეგობებს, არამედ მათ სხვა ფორმას აძლევს.

მიმომხილველი



რესპუბლიკურ ესპანეთში

ქ. ბარსელონის საჰაერო დაცვის ერთერთი საზენიტო ქვემეხი.

საკდესის ფოტოქრონიკა

მოძრაობა ინგლისის პოლიტიკის გადასინჯვისათვის ესპანეთის საკითხში

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). ინგლისის ხალხის ფართო წრეებში ძლიერ აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ინგლისის მთავრობა სრულიად უგულებელჰყოფს ესპანეთში იტალია-გერმანიის აშკარა ინტერვენციის ფაქტებს, რაც მიზნად ისახავს გენერალ ფრანკოს გამარჯვებას, რადაც უნდა დაუჯდეს. სამხრეთ უელსის მაღაროელთა ფედერაციის დელეგატთა კონფერენციამ მოიწონა აღმასკომის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც იგი უარს აცხადებს იმაზე, რომ ითანამშრომლოს მთავრობასთან „ნაციონალური ბეგარის“ გატარებაში. როგორც ცნობილია, აღმასკომმა თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ მანამდე, სანამ მთავრობა ნებას არ დართავს გაიტანონ იარაღი რესპუბლიკურ ესპანეთში, სამხრეთ უელსის მაღაროელები უარს აცხადებენ მთავრობასთან თანამშრომლობაზე ნაციონალური თავდაცვის ღონისძიებათა გატარების საქმეში.

23 იანვარს ლეიბორისტული პარტიის ლონდონის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჰერბერტ მორისონმა და პროფკავშირთა ლონდონის გაერთიანების მდივანმა უილისმა ჩემბერლენს მიმართეს წერილით, რომლითაც მოითხოვენ, რომ მთავრობამ გადასინჯოს თავისი პოლიტიკა ესპანეთის საკითხში.

ესპანეთის ბედს, ნათქვამია წერილში, მნიშვნელობა აქვს არა მარტო ესპანეთის ხალხისათვის, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისისა და საფრანგეთის უშიშროებისათვისაც.

ინგლისის პრესა ესპანეთის დანაწილების ახალი გეგმების შესახებ

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). პრესა თვალსაჩინო ადგილს უთმობს პარიზიდან მიღებულ ცნობებს, თითქოს საფრანგეთის მთავრობა ემზადება იმისათვის, რათა ესპანეთში იტალიის ინტერვენციის საკომპენსაციოდ მოახდინოს მენორკის კუნძულისა და ესპანეთის მაროკოს ოკუპაცია. ამ ტერიტორიების ოკუპაცია მოტივირებული იქნება საფრანგეთის მიმოსვლის გზების უზრუნველყოფის აუცილებლობით.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ფრანკო შესძლებს ბარსელონის დაკავებას და თუ იტალია უარს იტყვის თავის დაპირებაზე — გაიყვანოს თავისი ჯარები ესპანეთიდან.

ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ იტალიაში გაიწვიეს 200 ათასი კაცი, რომელიც დანიშნულია ესპანეთში გასაგზავნად იმ შემთხვევისათვის, თუ ადგილი ექნა საფრანგეთის ინტერვენციას. აგრეთვე იუწყებიან, რომ იტალიაში სამხედრო სწავლებისათვის გაიწვიეს სამოქალაქო ავიაციის ყველა პილოტი. საფრანგეთის საზღვარზე ხდება იტალიის ჯარების დაგროვება. იტალია უფრო ფართო მასშტაბით ემზადება, ვიდრე გასული წლის სექტემბერში ჩეხოსლოვაკიის კრიზისის დროს.

სანკტ-პეტერბურგი — პეტროგრადი — ლენინგრადი

(ლენინგრადის 15 წლისთავი)

1.

ნარვასთან გამარჯვებული პეტრე პირველის ჯარი ნევის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკებულიყო და ზეიმის დაწყებას ელოდა. წარჩინებულთა ამალიდან ჯარების უფროსი მენშიკოვი გამოერჩა, იმაღლებულ ალაგას შესდგა, პეტრე პირველის ბრძანება წაიკითხა, მუხლებთან მიგორებულ ქვაკუთხედს დასწვდა და ღრმად გათხრილ თხრილში ჩააგდო.

— იყოს დღეიდან ამ ადგილას ქალაქი სანკტ-პიტერ-ბურხი!

შემდეგ ჯარისკაცები წყალში ჩადგნენ და სანკტ-პიტერ-ბურხის პირველ სიმაგრეს გალავანი შემოარტყეს.

ეს იყო 1703 წლის მაისის თექვსმეტს.

ბევრი მშენებელი დაეცა ნევას დალამულ ნაპირებზე. ხოლო იმათ ძვლებზე აშენებული დიდი ქალაქი ხალხთა საპყრობილედ გადაიქცა.

ვერც არისტოკრატული სანკტ-პეტერბურგი გაექცა ბეჩავი ხალხის კრულვას. ბაროკოსა და კლასიკური სტილის ბრწყინვალე სასახლეების უკან წყვდიადით მოსილი ჯურღმულები გაჩნდნენ. ნესტიან სარდაფების მცხოვრებთ იქ დაბუდებული ჭლექი ფილტვებს უღრღნიდა.

2.

დუხჭირმა ცხოვრებამ ვერ გასტეხა სანკტ-პეტერბურგის პროლეტართა ნებისყოფა. ინდუსტრიის დუმლებში გამოწრთობილმა მუშებმა ლენინის რევოლუციური მოძღვრება შეისისხლხორცეს და პურის გარდა პოლიტიკური უფლებებიც მოითხოვეს. ასეთი „თავხედობისათვის“ მეფე მათ ტყვიით გაუმასპინძლდა 1905 წლის 9 იანვრის სისხლიან კვირას.

...როცა რეინის ნაპირზე მსოფლიო ომის ჩანძარმა იფეთქა, რუსეთის „პატრიოტებმა“ ვილჰელმისადმი „გულისწყრომის“ ნიშნად სანკტ-პეტერბურგს პეტროგრადი უწოდეს, შემდეგ კი მუშების სარდაფები დაირბინეს, დასავლეთის ფრონტის სასაფლაოზე გასაგზავნად პიტერელთა ეშელონები საბრძოლველად დააწყეს და მათ კისერზე მოქცეულებმა „ქიაკონაზე“ გადახტომა სცადეს...

სამი თებერვალი იჯდა პეტროგრადი წყალშემდგარ სანგრებში. მეოთხეზე კი ჩაალღვერი მოვარდა და რომანოვების დინასტია წალეკა; ბოლოს სუსხიანმა ოქტომბერმაც დაუბერა, ხელისუფლების სათავეში ცბიერებით მოქცეულ ბურჟუაზიას ტანში დაუარა და რახიტიან კერენსკის სკიპტრა დააგდებინა.

საქმემ, რომლისთვისაც ხალხი იბრძოდა, გაიმარჯვა!

3.

1924 წელი, 21 იანვარი... ჩვენს ქვეყანას საზარელი ამბავი დაატყდა თავს... გარდაიცვალა ლენინი. მაგრამ ლენინიზმით შეიარაღებულ ხალხს ლენინის ურთგულესი მოწაფე ბრძენი სტალინი გაუძღვა. საბჭოების მეორე ყრილობაზე მან მასწავლებლისა და ბელადის ხსოვნის წინაშე ფიცი დასდო:

— ვფიცავთ, ბელადო, რომ ღირსეულად შევასრულებთ ყოველ შენს ანდერძს!

და ძლიერმა საბჭოთა ხალხმა ლენინის მიერ შექმნილი პარტიის მეთაურობით სიტყვა საქმედ აქცია. მშრომელების მოთხოვნით საბჭოების მეორე ყრილობამ პეტროგრადს სახელი შეუცვალა და დიდი ბელადის სახელის უკვდავსაყოფად მას ლენინგრადი უწოდა.

ეს იყო 1924 წლის 25 იანვარს.

შემდეგ კი ჩვენმა ხალხმა ორივე ხუთწლედს ხორცი შეასხა და სოციალიზმის გამარჯვებით ლენინს სამარადისო ძეგლი დაუდგა.

აყვავდა და გაიზარდა სოციალისტური ლენინგრადი. კეთილმოწყობილ ცენტრად გადაიქცა ჩვენი „ნარვის ზასტავა“, ხოლო ოდესღაც მიგდებულ ვიბორგის მხარეში ინდუსტრიის მილების ჭალა აიყარა. გოლიათურად სუნთქავენ მოსკოვის უბნის ფაბრიკა-ქარხნები და გაშმაგებით გუგუნებენ ახალი გიგანტების საამქროები.

ახალმა ლენინგრადმა თოთხმეტჯერ გადააჭარბა ომის წინადროინდელი მანქანათმშენებლობის პროდუქციის დონეს. ახლა აქ აწყობენ ურთულეს ლინოტიპებს. აქაურ ქარხნის „რუსკი დიზელის“ საამქროებში დაიბადნენ გოლიათი გენერატორები, რომლებიც „ზაჰესში“ ტრიალებენ.

ორივე ფეხზე მოიკოჭლებდა ძველი ქიმიური მრეწველობა, ახლა კი ისე გაიმართა, რომ წლიურად გამოშვებული 700 მილიონი მანეთის პროდუქცია მოძველებულ ნორმად ითვლება. მარტო ფაბრიკა „სკოროხოდი“ იმდენ ფეხსაცმელს ჰკერავს, რამდენსაც მთელი რუსეთის ფაბრიკები ერთად ვერ ერეოდნენ. ექვსჯერ გაიზარდა კვების წარმოება, ორმოცჯერ — სამკერვალო, გულს ახარებს ფიქალისა, ტორფის და ხის დამუშავების თვალსაჩინო მიღწევები.

ორნახევარჯერ გაიზარდა მუშათა რიცხვი 1913 წელთან შედარებით. 70 ათასი ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაობს ლენინის ქალაქში. ისინი სტახანოველთა ლეგიონებთან ერთად შრომის ნაყოფიერების არნახულ მაჩვენებლებს იძლევიან, ჩვენი ქვეყნის შესადარ ტემპებს ანვითარებენ.

ლენინის ქალაქის ქარხნების მუშათა კოლექტივებმა წამოიწყეს სოციალისტური შრომის ახალი ფორმები: შემხვედრი გეგმის იდეა კარლ მარქსის სახელობის მეტალურგიულ ქარხნის საამქროებში დაიბადა, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის დროშაც პირველად ლენინგრადელებმა აღმართეს და შრომა სასახელო და სიამაყის საქმედ გადააქციეს. როცა სტახანოვმა შრომის პირველი სასწაული მოახდინა, ლენინგრადელი მშრომელები პირველნი გამოეხმაურნენ.

ფართო მოღვაწეობის გზა გაეხსნა საბჭოთა ქალს. ლენინგრადის მუშა-მოსამსახურეთა 48 პროცენტს ქალები შეადგენენ; ისინი შრომის გმირობის მრავალ მაგალითებს იძლევიან.

მოწინავე კომუნალური მეურნეობა აქვს ლენინის ქალაქს. 125 კილომეტრზე გაჭიმულა თბოსადგურის ქსელი, ხოლო ტრამვაის ვაგონები 514 კილომეტრზე მიმოჰქრიან. გრანიტის ქვაფენილებით იკირწყლება ქალაქის გარეუბნები და ასფალტით იფარება ცენტრის ქუჩები და მოედნები. ჯურღმულებისა და ნესტიანი სარდაფების პეტერბურგ-პეტროგრადი ნათელ, სტალინური მზით გამთბარ ლენინგრადად გადაიქცა. ორ მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი აშენდა ამ 15 წელში და ამდენივე გათვალისწინებულია გეგმით. ორასი ათასი სატრანსლაციო წერტი ლაპარაკობს ლენინგრადელთა ოჯახებში და ოთხმოცი ათასი ტელეფონი მომსახურებას უწევს მათ.

სოციალისტური კულტურის ძლიერი კერაა ლენინგრადი. 150 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება არსებობს აქ, 134 კლუბი იღება ყოველდღიურად და ოცდათხუთმეტ დიდებულ მუზეუმს ოთხ მილიონზე მეტი მაყურებელი ნახულობს წლიურად. ქალაქის 535 ბიბლიოთეკით ათეულათასობით მკითხველნი სარგებლობენ, მილიონნახევარი ტირაჟით ნაბეჭდ 218 სახელწოდების გაზეთს სახლში და კლუბებში, ქარში და სამკითხველოებში კითხულობენ. რვა მილიონი მაყურებელი ჰყავს ლენინგრადის თეატრებს წლიურად, კინოთეატრებს კი ოცდაოთხ მილიონზე მეტიც.

ძველ დროში მხოლოდ ერთი საბავშვო სახლი იყო და ისიც ბედის ანაბარად მიტოვებული. ახლა საბჭოთა საბავშვო სახლებში სამოცი ათასი ბავშვი იზრდება სახელმწიფო ხარჯზე. რვა საბავშვო კერა იყო წინათ, ექვსასრვაა ახლა. სანთლით ვერ იპოვნიდით სახელმწიფო ჯანმრთელობის პუნქტს, ამჟამად თითქმის ყოველ ქარხანას საკუთარი სამკურნალო პერსონალი ემსახურება. ხსენებაც არ იყო მშრომელთა დასვენებისა, ახლა ასეული ათასები მკურნალობენ ჩრდილოეთის კურორტებზე და სამხრეთის მზის ქვეშ, დიდებულ სანატორიუმებსა და უამრავ დასასვენებელ სახლებში.

4.

ლენინგრადის 15 წელი ჩვენი ხალხის გამარჯვებაა: ეს იყო სოციალიზმისათვის ბრძოლისა და შემოქმედების დიადი წლები. დიდმა სტალინმა მაგრად ჩაუკეტა ჩვენი ქვეყნის მტრებს ლენინგრადისაკენ მიმავალი ყველა გზები და გადააქცია იგი აუღებელ ფორპოსტად დასავლეთის საზღვარზე.

დიდხანს იცოცხლებენ ლენინგრადის მუშათა ბრძოლის რევოლუციური ტრადიციები. სამარადისოდ იარსებებს და იზეიმებს თავის ბრწყინვალე გამარჯვებებს ლენინის ქალაქი, სადაც პირველად დაირწა სოციალისტური რევოლუციის აკვანი.

ოთარ ეგაძე

ჯელალ ბაიარის მთავრობის გადადგომა

ანკარა, 25 იანვარი (საკდესი). ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ გადადგა ჯელალ ბაიარის მთავრობა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ისმეთ ინენიუმ ახალი მთავრობის შედგენა დააკისრა რეფიქ საიდამს, რომელსაც წინანდელ კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. ახალი მთავრობა უკვე დღეს საღამოს უნდა წარუდგეს კამუტაის (თურქეთის პარლამენტს).

იტალია-იუგოსლავიის მოლაპარაკება

პრაღა, 24 იანვარი (საკდესი). იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო გუშინ ბელგრადიდან რომს გაემგზავრა. როგორც ინფორმირებული წყაროებიდან გადმოგვცემენ, ჩიანოსა და სტოიადინოვიჩს შორის გამართული მოლაპარაკება შეეხებოდა იუგოსლავიასა და იტალიას შორის ურთიერთობათა განვითარების ყველა საკითხს, აგრეთვე ცენტრალური ევროპის მდგომარეობის საკითხებს. მოლაპარაკების დროს მთავარი ადგილი დაიკავა იუგოსლავიისა და უნგრეთის ურთიერთობის საკითხმა. ჰფიქრობენ, რომ უახლოეს დროში უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩაკი ეწვევა ბელგრადს, სადაც ხელმოწერილი იქნება შეთანხმება პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ იუგოსლავიასა და უნგრეთს შორის. მოლაპარაკების დროს გადასწყდა აგრეთვე იუგოსლავიასა და იტალიას შორის ეკონომიურ ურთიერთობათა შემდგომი განმტკიცების საკითხები.

პირსონის განცხადება ლინდბერგის შესახებ

ვაშინგტონი, 23 იანვარი (საკდესი). თანახმად ჟურნალ „ნეიშენის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის პირსონის ცნობისა, ამერიკის შეერთებული შტატების ლონდონელმა ელჩმა კენედიმ, გამოვიდა რა სენატისა და პალატის სამხედრო საქმეთა კომისრების გაერთიანებულ სხდომაზე, განაცხადა, რომ მან მართლაც წინადადება მისცა ლინდბერგს ეშოვნა ცნობები გერმანიისა და საბჭოთა ავიაციის შესახებ.

ბეკის განცხადება

ვარშავა, 24 იანვარი (საკდესი). გაზეთები ჰბეჭდავენ საგარეო საქმეთა მინისტრის ბეკის წერილობითი პასუხის ტექსტს იმ შეკითხვაზე, რომელიც მას მისცეს პოლონეთის პოზიციის შესახებ კარპატის უკრაინის უნგრეთისათვის შეერთებისა და პოლონეთ-უნგრეთის საერთო საზღვრის დაწესების საკითხში. ბეკის პასუხში ნათქვამია:

„პოლონეთის მთავრობისათვის ცნობილია უნგრეთის მთავრობის მისწრაფება შეიძინოს კარპატის უკრაინა და ამრიგად შექმნას საერთო პოლონეთ-უნგრეთის საზღვარი

უნგრეთის მთავრობას ყოველთვის შეუძლია იმედი იქონიოს პოლონეთის მთავრობის თანაგრძნობითი პოზიციისა ამ საკითხში. პოლონეთის მთავრობა არსებულ პირობებში არავითარ პრეტენზიას არ უყენებს ჩეხოსლოვაკიას. მთავრობა თვალყურს ადევნებს მოვლენათა განვითარებას კარპატის მთების სამხრეთ ფერდობზე და, იმ შემთხვევაში, თუ იქ შექმნილი მდგომარეობა დაემუქრება პოლონეთის ინტერესებს, მაშინ პოლონეთის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯს ამ მუქარის თავიდან ასაცილებლად“.

კინოფესტივალი ტყიბულში

ტყიბული (ტელეფ. საკ. კორ.). სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის დადგენილებით „სოიუზკინოპროკატის“ საქ. რესპუბლიკური გაერთიანება ტყიბულში ა. სტახანოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 21 იანვრიდან 6 დღით ატარებს კინოფესტივალს.

კინოფესტივალში შედის ისეთი ძვირფასი კინოფილმების დემონსტრირება, როგორიც არის „ლენინი ოქტომბერში“, „ჩაპაევი“, „თოფიანი კაცი“, „ნარინჯის ველი“, „ხვალ თუ ომი იქნება“ და „დიადი განთიადი“.

კინოფესტივალის გახსნის პირველ დღეს, 21 იანვარს უჩვენეს სახელმოხვეჭილი საბჭოთა კინოფილმი „ლენინი ოქტომბერში“, რომელიც 1300-მდე მაყურებელმა ნახა.

კინოფესტივალის მეორე, მესამე და მეოთხე დღეს ნაჩვენები იყო ფილმები: „ჩაპაევი“, „თოფიანი კაცი“, „ნარინჯის ველი“.

ფესტივალის 4 დღის განმავლობაში მაღაროების ცენტრალურ კლუბში ხსენებული კინოფილმები 3.500 კაცმა ნახა.

ფესტივალი წარმატებით მიმდინარეობს.

დ. საბელაშვილი.

შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრება

ოქუმი (საკ. კორ.). სოფელ ოქუმის (გალის რაიონი) მილიონერი კოლმეურნეობის შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარე წელს ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ტუნგოს, ღვინის და ხეხილის მოსავლისაგან კოლმეურნეობამ მიიღო 1 მილიონი 770 ათასი მანეთი, ანუ 682 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ოქუმის კოლმეურნენი ახლა შეძლებულად ცხოვრობენ. თუ გასულ წელს კოლმეურნემ შრომადღეზე მიიღო 8 მან. და 10 კაპ., წელს ეს თანხა გაიზარდა 13 მანეთამდე.

კოლმეურნე მარო შამათავამ წელს გამოიმუშავა 630 შრომადღე. ის ფულად მიიღებს 8.190 მანეთს. გარდა, ამისა, მან მოსავლის წინასწარი განაწილების დროს მიიღო 3.212 კილოგრამი სიმინდი. კოლმეურნე ილარიონ მიქავას ოჯახი მიიღებს ფულად 9.800 მანეთს. ასევე უხვად ერგება მას კვების პროდუქტებიც. წინასწარი განაწილების დროს, შემოდგომაზე მიქავას ოჯახმა 1 ნოემბრამდე გამომუშავებული დღეებისათვის მიიღო 2.338 კილოგრამი სიმინდი. ივანე წირღვავას ოჯახი ფულად მიიღებს 11.024 მანეთს.

კოლმეურნეობაში ირიცხება 521 ოჯახი, 2345 წევრი. აქედან 1934—38 წლებში ახალი ოდები აიშენა 234 კომლმა.

მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი

მეცამეტე ტური

მეცამეტე ტურის ყველა პარტიებში დაძაბულ ბრძოლას ჰქონდა ადგილი. ხუთი საათის თამაშის შემდეგ მხოლოდ ორი პარტია დასრულდა. შეჯიბრების მეორე ნახევარში ძლიერად თამაშობს პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონი ალატორცევი. უკანასკნელ სამ პარტიაში მან ორი მოიგო და ერთი (რიშევსკისთან) გადასდო თავისათვის უკეთეს მდგომარეობაში. ამ დღეს მან ენერგიული თამაშით გამარჯვება მოიპოვა სპორტის დამსახურებულ ოსტატ რომანოვსკისთან.

ტოლუშ-მაკაგონოვის პარტია მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დასრულდა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. კერესს ზედმეტი პაიკი ჰყავს რაბინოვიჩის წინააღმდეგ. ლევენფიშ-კონსტანტინოპოლსკის და ფლორ-ბონდარევსკის პარტიები გადაიდო თანასწორ მდგომარეობაში. ლილიენტალ-სმისლოვისა და გოგლიძე-რაგოზინის პარტიები გადაიდო მწვავე მდგომარეობაში. დანარჩენი პარტიები არ გათამაშებულა.

თბილისის მეთხილამურეთა შეჯიბრება

23 იანვარს, ბაკურიანში დაიწყო თბილისის მეთხილამურეთა შეჯიბრება, რომელშიც სხვადასხვა სასპორტო ორგანიზაციების 80-მდე მეთხილამურე მონაწილეობს.

შეჯიბრების პირველი დღე ქალების ამანათრბენით დაიწყო. თითო გუნდში 3 ქალი შედიოდა. ყოველ მათგანს ცალცალკე 5 კილომეტრი უნდა გაერბინა (გუნდს კი 15 კილომეტრი). პირველ ადგილზე გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც 15 კილომეტრი გაირბინა 1 საათსა, 45 წუთსა და 56 წამში. მეორე ადგილი დაიკავეს „უროჟაის“ საზოგადოების მეთხილამურეებმა.

საინტერესოდ ჩატარდა ამანათრბენში შეჯიბრება მამაკაცთა შორის. (4×10 კილომეტრზე). აქაც გამარჯვება მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც 40 კილომეტრი (ყოველმა მეთხილამურემ 10 კილომეტრი) გაიარა 3 საათსა, 28 წუთსა და 18 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა „მშენებელის“ გუნდი.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია თხილამურებით ბოგიდან ხტომამ.

ამ დარგში საუკეთესო შედეგს მიაღწია ახალგაზრდა მეთხილამურე ხარაზიშვილმა (საზოგადოება „უროჟაი“), რომელიც მშვენივრად დაუფლებია თხილამურებით ხტომის ტექნიკას. ხარაზიშვილი 31 მეტრზე გადახტა. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გასული წლის ფალავანი ლ. მესხიშვილი („მშენებელი“).

შეჯიბრება გრძელდება.

ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქციაში

დღეს, საღამოს 7 საათზე, ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქცია (გრიბოედოვის ქ. 34) აწყობს ჟურნალ „ოქტომბრელის“ 1938 წლის ნომრების განხილვას.

რედაქცია სთხოვს საბავშვო მწერლებს დაესწრნენ განხილვას.

საქდესის გასწორება

გაზეთ „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის — „მგზნებარე ბოლშევიკის ცხოვრება“ — მეოთხე სვეტის მესამე აბზაცი (ზევიდან) ასე უნდა იკითხებოდეს: „1915 წლის ივნისში კუიბიშევს აპატიმრებენ და სამი წლით ასახლებენ“... და შემდეგ როგორც ტექსტშია; მეხუთე სვეტის მესამე აბზაცი (ზევიდან) უნდა იკითხებოდეს: „სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კუიბიშევი პროფესიული კავშირების სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრია“... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

26 იანვარს სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (პლეხანოვის პროსპექტი № 121) აწყობს ამხ. **ფრუიძის** ლექციას თემაზე: „მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები ლენინის წიგნში „რა ვაკეთოთ?“ ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

26 იანვარს კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. **ათაბეგოვის** ლექციას თემაზე: იაპონიის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

26 იანვარს ლენინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (საბჭ. ქ. № 122) — ამხ. **ხატიაშვილის** ლექციას თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე, ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები:
3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მიიღეთ თუ არა სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე ხელმოწერის ობლიგაციები?

იმ მოქალაქეთ, რომელთაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე და დღემდე არ მიუღიათ ობლიგაციები, შეუძლიათ მიიღონ ისინი ცენტრალურ ან რაიონულ შემნახველ სალაროებში, სადაც ობლიგაციები ჩააბარეს საწარმოთა და დაწესებულებათა ბუხჰალტერიებმა, აგრეთვე სასოფლო საბჭოებმა.

ობლიგაციების მისაღებად მუშებმა და მოსამსახურეებმა ხელმოწერის ადგილზე შემნახველ სალაროში უნდა წარადგინონ (ან ფოსტით გადაგზავნონ) საწარმოს ან დაწესებულების ბუხჰალტერიის ცნობა ხელმოწერით შეტანილი თანხის შესახებ, ხოლო კოლმეურნე და ერთპიროვნულმა მეურნე გლეხებმა—სესხის საანგარიშსწორებო ქვითარი, რომელიც მათ ხელზე აქვთ.

ობლიგაციების ხელზე მიღებამდე ხელმომწერლები არ მონაწილეობენ სესხის მოგებათა ტირაჟებში.

ხელმომწერლები, რომლებიც სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციებს არ მიიღებენ 1939 წლის 1 ივნისამდე, ამ ვადის შემდეგ ჰკარგავენ ობლიგაციების მიღების უფლებას.

საქ. შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის მთავარი სამმართველო.

2

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

26/I	კოლმეურნის ქორწინება
27/I	ურიელ აკოსტა
28/I	კოლმეურნის ქორწინება

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

26/I	27/I	28/I
მუდმ. ადგ. ტალ. № 81 აბ. სერ. № 1 მალთაყვა	მუდმ. ადგ. ტალ. № 82 აბ. სერ. № 3 აიდა	მუდმ. ადგ. ტალ. № 83 დაისი

სახცირკი — ტელ. 3-11-44

დღეს

განახლებული პროგრამა

ახალი გასტროლიორები.

პირველი გამოსვლა არტ. ზასტავნიკოვებისა — ბუფონად კლოუნადა და სხვა ნომრები. პოპულარულ არტისტ-მწვრთნელის ვლადიმერ დუროვის ხუთი უკანასკნელი გამოსვლა. მხეცები, ცხოველები, ფრინველები, სპილო, ზღვის ლომები.

უკანასკნელ ხუთ დღეს დუროვის რკინიგზა

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.

ვ. დუროვის გამოსვლის ხუთი უკანასკნელი დღე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

26/I	ღია წარმოდგენა თოფიანი კაცი მუდმივი ადგილები ძალაში არ არის
27/I	წარმოდგენა 103 უდანაშაულოდ დამნაშავენი
28/I	წარმოდგენა 104 თოფიანი კაცი

ა. პ. მიქაბერიძე

პარიზში დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“. სახის, კისრის, ხელების მასაჟი და თმის მკურნალობა, ელექტროორთქლის აბაზანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავად. ძნელაძის ქ. № 19. იღებს დილის 10-დან 3 საათამდე და საღ. 5—8-მდე.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34' ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მუშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება

ამხ. ლ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ—1477